

# ჩვენი მწერლობა



გამოდის თვეში ორჯერ პარასკევობით

ფასი 1,50 ლარი

26 ივნისი 2009






№13(91)

იაკობ გოგებაშვილი და წმინდანთა დასი  
გენო კალანდიას აფხაზური სამკუთხედი  
თამაზ ნატროშვილი არჩილ მეფეზე  
როგორ დავბრუნდეთ სამშობლოში  
ნინო დარბაისელის მათე-პამპულა  
ლევან ბრეგაძის უბის წიგნაკიდან  
თამთა ჯინჯოლავას მინიატურები  
დავით წერედიანის მირანგულა  
ლიაო ჭაის ნოველები

1516  
2009



# წიგნის თარო





**შინაარსი**



რედაქციის პაპალი	2	ინჰუმ გომეგაჰვილი და წიგნიანთა დანი
სილუაბაი წარსულიდან	3	თამაზ ნატროშვილი ორიოდე სტრიქონით მოხვეჭილი უკვდავება
ლიტერატურული სკივრება	7	კონეპსიტი ახალგაზრდა მწერლებსათვის
თამაზ-წიგნიანი	8	მიმა ბახსოლიანი მოყვლა, სანამ გაპყს (მოამზადა ნატა ვარადაძე)
პროზა	9	გურამ მეგრელიშვილი ნენსი
პოეზია	19	ვერო კალანდია ახსაზური სამკუთხედი და სხვა ლექსები
კრიტიკა	22	ნინო დარბაისელი მამთა-ამგაღლა
ფილოსოფია	23	ჯონ პრისტლი უსაქმროგაზე ნათქვამი
ფილოსოფია	25	მგოლოდ დიდი საუზლოს კარიგატისთან (ნანა გოგიას ესაუბრება როსტომ ჩხეიძე)
ფიქრი და პანაჰა	28	ტრისტან მახაური „რამ შემეძნა ადამიანად“
ფილოსოფიური ნოველა	32	ელგუჯა თაგერიძე ან განჯაში, ანდა საიძიოში
რეკრეატი	35	ზანაძე ჯორჯაბაღის ტვირთი და პალი (გურამ ბათიაშვილის რომანის განხილვა)
ახალგაზრდათა ან კი თქვა	40	თამთა ჯინჯოლავა მინიატურები
ან დიდი პაპალი წინაგარდა	42	ეთერ მგალობლიშვილი პოეზიის რაობა ედგარ პოსს და „ცისფერხანდელბატონა“
კრიტიკა	44	ლელა კოდალაშვილი ალმანახი „თოგაბი“ და გოლო ნოვების ლიტერატურული კლიმატი საქართველოში
კულტურა	45	ჯეორგ სელინჯერი დემიოს არღვა
კრიტიკა	46	ოქტაი ქაზუშვილი „კიდეაქანილი ზეცის ტილოზა“
კრიტიკა	48	გივი ალხაზიშვილი იმადინი გულის ფთქვა
კრიტიკა	49	ნინო ოქროშიაშვილი „რამ დავაჰავე, დავართო“
ფილოსოფია	50	ლევაან ბრეგვაძე უგის ნიგნაკიდან
ფილოსოფიური სახეობა	52	ვახტანგ დავითაია „ამილახვარს სხსეგმართველოგაში რამ უნდა, გატყრო“
საბავაო მწერლობა	54	ნინო ჩხიკვიშვილი რეგორ დაპერუნდით სამგოგლოში?..
ფილოსოფია	57	თემო ჩიტაძე რედაქსა ტივალ ადამიანგ გულის მოქარობას
ფილოსოფია	58	ლიაო ქაი ორი ნოველა
ფილოსოფია	63	მზის და მარღაგის მხარე

ორკვირული ჟურნალი  
დამფუძნებელი „ილიონი“  
მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41  
რედაქცია - (995 32) 96-20-62  
რეკლამა - (995 93) 65-93-68  
გაზეტელება - (995 99) 41-95-21  
ფაქსი: (995 32) 96-20-62  
E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი - როსტომ ჩხეიძე  
პროზის რედაქტორი - ივანე ამირხანაშვილი  
პოეზიის რედაქტორი - შაკა ჯოხაძე  
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი - თამაზ ნატროშვილი  
მხატვრული რედაქტორი - კარლო ფაშულია დინაინერი - შალხა იაშვილი  
სტილისტ-კორექტორი - ნინო დეკანოიძე დეკანოიძე - თენგიზ რობიტიშვილი  
ოპერატორი - თამაზ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი - ეკა ბუჯიაშვილი  
გაზეტელების სამსახური - ლევან კიცნაძე

გარეკანზე: გურამ მეგრელიშვილი  
თამუნა მაკალათიას ფოტოგრაფია

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 10 ივლისს



# იაკოვ გოგებაშვილი და წმინდანთა დასი

ცხოვრების წესი და სტილი, რომელსაც იშვიათი ერთგულებით მიჰყვებოდა იაკობ გოგებაშვილი, სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა წმინდანის ცხოვრების წესი და სტილი.

განუზომელი დევანი, რომელიც აღასრულა იაკობ გოგებაშვილმა ქართველი ერის თვითმყოფადობისა და ენის, ქრისტიანული სარწმუნოების შესანარჩუნებლად, სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა წმინდანის ღვაწლი.

ამ შეხედულებას, როგორც უდავოსა და უეჭველს, იზიარებს ყველა, ერი და ბერი.

მაშ რა უფასაა წინ ამ დიდებული პიროვნების შერაცხვას წმინდანად?

რა და:

ერთადერთი ეპიზოდი მის ბიოგრაფიაში — თვითმკვლელობის მცდელობა.

მართალია მარტოა მცდელობა და არა აღსრულება, მაგრამ ქრისტიანული მორალისათვის, მოგეტყვინებთ, ეს ერთი და იგივეა.

და როდესაც საეკლესიო წრეებში არის მსჯელობა — და საქმად მღვდელვარე მსჯელობაც — შეიშოს თუ არა როდის იაკობ გოგებაშვილის სახება წმინდანის ნიშნით, ერთადერთ დამაბრკოლებელ მიზეზად ისევე ეთიზიერ ჩნდება.

მაგრამ ვაქვს კი გულდასმით და ყოველმხრივ გამოძიებული ამ ეპიზოდის გარემოებანი?

მისი ფსიქოლოგიური სარწმუნო, მისი წინაპირობები? ერთობა და სამუდამოდ დაერქვა მტკვარში გადაბტომის იმ შემთხვევას თვითმკვლელობის მცდელობა თუ... „დედა ვინს“ შემოქმედის ამ საეკლესიო აქამომედელი შეფასება მკვეთრ გადასინჯვას საჭიროებს?

ჯერ ყველა ადამიანის წინაშე ვართ მოვალენი, ზერეულე, მარტოდენ გარეგნულ მონაცემებზე დაყრდნობით არ გამოვუტანოთ მორალური განაჩენი მის ამა თუ იმ საქციელს, და, მითუმეტეს, ისეთი პიროვნების წინაშე, ვისი არსებობაც წმინდანისაა გასტოლებია.

სხვათა შორის:

ასეთი ზერეულე შეფასების ნიშნში გახლდათ თუნდაც გალაკტიონ ტაბიძის ტრავიკული აღსასრულის ხელაღწევა თიბრეც თვითმკვლელობის აქტად.

თემირაზ დოაშვილია, ჩვენი დროის ერთმა საუკეთესო მკვლევარმა, ამ ეპიზოდს უფრო ზუსტი შეფასება მოუქმენა, როდესაც მიჩინა არა თვითმკვლელო-

ბად, არამედ — მკვლელობად, წინამურის ტრავიკის უშუალო გაგრძელებად.

მისმა თვავამოედებამ შესაფერისი განწყობილებაც გამოიწვია საზოგადოების შეფენებაში, მოხდა ამ აქტის უფრო ღრმა და მიუკერძოებელი განსჯა და კიდევ გადაუფასა და ადრინდელი ზერეულე შეხედულება.

საქართველოს საპატრიარქოშიც ვაიზიარა ეს მტკიცება და უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის წყალობით, გალაკტიონ ტაბიძეს მოეხსნა თვითმკვლელობის ცოდევა.

მართლაც შესანიშნავი მაგალითია მეცნიერებისა და სარწმუნოების ურთიერთთანადგომისა და ერთი მიზნისაკენ სვლის!..

ასეთი მაგალითის არსებობა თავისთავად გვაულებს, რომ გავაგრძელოთ ეს გზა და შევეცადოთ საქართველოს საპატრიარქოს მივანდოთ მეცნიერულად ყოველმხრივ გამოძიებული და დადასტურებული ახსნა იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების იმ დრამატული ეპიზოდისაც — მართალი და მიუკერძოებელი, რათა ამჯერადაც ბელი შეენყოს ჭეშმარიტების დადგენას, ჭეშმარიტების დადგენა კი ძალდაუტანებლად გამოიწვევს იაკობ გოგებაშვილის შერაცხვას წმინდანად.

და საერთოდაც — ჰარმონიული ურთიერთობის გაგრძელებას მეცნიერებსა და სასულიერო პირთ შორის; მითუმეტეს, სულიერ მამებს შორის სულ უფრო და უფრო მატულობს მკვლევართა რიცხვი, რისი წყალობითაც ხელშესახება აღდგება ძველი ტრადიცია, მეოცე საუკუნის სა-

ქართველოში ფრამგენტულად გადარჩენილი, და მანაც შემნარჩუნებელი სულიერი კულტურის ამ ხაზის უწყვეტობისა.

პირველსავე სიტყვას რომ მოვიდეთ:

მოსალობეულია ჭამი კიდევ ერთი წმინდანის შემატეხისა ამ დიდებული დასისათვის, და ამ გადაწყვეტილების შემუშავებაში თავისი ვალი რომ დაჰკისრებია მეცნიერებას, სწორედ ასე გვესახება არაერთი სასიკეთო საქმის აღმსრულებლის, ენათმეცნიერისა და ლიტერატურის მკვლევარის გიორგი გოგოლაშვილის ამ ნარკვევის — „ერთი ეპიზოდი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან (მკვლელობის თუ თვითმკვლელობის მცდელობა)“ — დანიშნულება, გულდასმითი ძიების დაგვირგვინება სანოდ დასტულებითა და იმ ზოგადი სურათის ნარჩონსახვით, სრულიად უშედავითო განსჯამაც რომ ვეღარაფერი შპოვოს საჭოქმანო იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების იმ დრამატულ ეპიზოდში; ნარკვევისა, რომლის გამოქვეყნებაც გათვალისწინებულია „ჩვენი მწერლობის“ შმეგდომ — 10 ივლისს — ნომერში.

და მოსალობეულია კიდევ მაინც გაქვრის იმ ერთადერთი დამაბრკოლებელი მიზეზი და იაკობ გოგებაშვილის სახელიც დაემკვიდროს იქ, სადაც მისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილია — ქართველ წმინდანთა დასში...





თამაზ ნატროშვილი

# ორიოდე სტრიქონით გამხატვლური უკვდავება

არა მარტო ტჰაილ სხათათვის

მკითხველის თავშესაქცევად მინდა დავიმონწილო ორი მოკლე ნაწევრები ორი სხვადასხვა გვერდისა და რანგის ლიტერატურული ნაწარმოებიდან. მერე კი უმარტივესი შეკითხვა დაეყუსა მათ, ვისაც არ დაეზარება გულდასამით დაუკვირდეს დამონშებულ ტექსტებს, თავისი შთაბეჭდილებანი ფრთხილად ანონ-დანონის და გულწრფელი მსჯავარი გამოიტანოს იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა, რომ ისინი ერთიმეორის გვერდიგვერდ დაეაყვნოთ.

პირველი ნაწევრები:

**მანათობლო! გააქერ, გააქერ, სიცოცხლე მხოლოდ  
ჩრდილი ყოფილა მოარული; ტაკიამასხარა,  
რომელსაც ვიდრე დრო აქვს, ადის მალაღ სცენაზე  
და იჭიმება, იგრინება მთლად გაქრობამდე.  
სულელის ენით მოხერხობილი ამბავი არის,  
თუმც უწინიველო, მაგრამ სასვე აურზაური.**

მეორე ნაწევრები:

**ცხოვრება ჩვენი კვალსა ჰვავს ზღვაზედა  
ნავთ-მავლისასა,  
გინა სიზმარსა ამასო, ნუთი-ერთ, ძილ-მოკლისასა,  
ღრუბელს — ქართ მიმოკვეთებულს, ანახდა,  
დასავლისასა,  
ზღაპარსა დაუფრებელს, მემუცულად გამოშქვლისასა.**

ამ ორ ნიმუშს შორის ობიექტური განსხვავება ისაა, რომ პირველი მათგანი არის მალაღ დონეზე შესრულებული თარგმანი, ხოლო მეორე — ორიგინალური ტექსტია. სუბიექტური განსხვავებანი კი მკითხველის ეროდიციასა და ლიტერატურულ გემოვნებაზე იქნება დამოკიდებული.

სადიქტოვებელია, რომ გამოუცვლელი მკითხველი ვერ ამოიცნობს დამონშებულ ტექსტების ავტორთა ვინაობას და თამაშად დაასკვნის, ერთიმეორეს ტოლს არ უდებენო. მაგრამ გამოცვლილი მკითხველი, ალბათ, იოვლად ამოიცნობს ორივე ავტორს; ცხადია, უპირატესობას მიანიჭებს პირველ ნიმუშს და დანუბნით თუ არ დაინუნა მეორე ნიმუში, ოდნავ მაინც ვაკვირავს, პირველის ფეხის ფრჩხილდაც არა ღირსო. ანკი არა ვასაკვირია, როცა პირველი ეკუთვნის მთელს მსოფლიოში აღიარებული გენიოსის კალამს, ხოლო მეორე — ჩვეს „შინაურ მღვდელს“, სამშობლოშიც რომ არა აქვს მენდობა, თორემ მსოფლიო აბა რა მოსატანია!

ცოცხლა გამბედილი სჯობსო და, უბირი მკითხველისა არ იყოს, მეც ასე მგონია, რომ ზემოხსენებული სტროფი აბრჩილ მეფის (1647-1713) ლექსიდან არაფრით ჩამოუვარდნა ნაწევრებს ულიამ შექსპირის (1564-1616) „მაკბეტიდან“, ქართულად ივანე მაჩაბელს რომ უთარგმნია.

XVII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში დამკვიდრებული კათოლიკე მისიონერი პადრე ბერნარდო აღნიშნავდა, რომ ქართველები „შიდრეკილ არიან ბეჭანიანის, ბარამიანის, როსტომიანის და მათი მსგავსი წიგნების კითხვაზე“.

მკითხველს შევახსენებ დასახელებულ ნაწარმოებთა წარმომავლებს და რაობას. სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ „ბეჭანიანი“ გამოგვეცემს ბეჭანიასა და მანიციის მიჯნურობის ამბავს. ჩვენში ფრიად მოპულარული ყოფილა არა მარტო ხელნაწერებით, არამედ სტამბაში ნაბეჭდი სახითაც. თურმე არსებობს „ბეჭანიანის“ 13 (ვა-მეტქი) გამოცემა. უკანასკნელი, მე-13 გამოცემა დათარიღებულია 1915 წლით. დახტე, შუა საუკუნეთა საქართველოდან ლამის ოქტომბრის რევოლუციამდე მოუღწევია.

არანაკლებ მოპულარული ყოფილა „როსტომიანი“, რომელიც წარმოადგენს ფირდოუსის „შაჰნამეში“ მოთხრობილი რუსტემის თავგადასავლის გადმოქართულებას. აღწერილია ირანულ ფალავანთა შერკინებანი ერთიმეორესთან და დევნება თუ აგსულებითა. თითქმის ყველა საკუთარი სახელი, რომელიც ამ ნაწარმოებში გვხვდება, ქართულ ეროვნულ სახელად ცქეულა და, ამგვარად, „როსტომიანს“ დიდი მეთქვეობა გაუწევია ქრისტიანული კალენდრის ონომასტიკისათვის.

„ბარამიურიანი“ გადმოგვეცემს სასანური ირანის ხელმწიფის ბარამ-გურის სამოჯნურო თავგადასავლებს.

ამბობენ, ყოველგვარი ისტორიული პარალელი მოიკრულესო, მაგრამ მაინც ვიტყვოდი, რომ იტალიელი მისიონერის მიერ ხაზგასმული მიდრეკილება XVII საუკუნის ქართული საზოგადოებისა ძალაღებურად მოგვარონებს დღევანდელ გატაცებას სამხრეთამერიკული სერიალებით. მათი გმირების სახელები ხომ ზემოადა იცინა, მათ თავგადასავალს გულსიფნცქალებით განიცდიან, ცრემლებსაც უხვად ღვრიან და გულწრფელად თანაუგრძნობენ ჭირსა თუ სასჭირში.

დავუბნებდი წარსულს. სიტყვამ მოიტანა და ბარემ ისიც ვთქვამო კიდევ ერთხელ, რომ ბერნარდოზე ადრე იმდროინდელი მკითხველის გემოვნების შესახებ ვაპოვებას გამოთქვამდა თეიმურაზ პირველი, თავად შერაცხული სპარსული პოეზიის ტრფიალად. „არვის უნდა სახარეყს, არცა ნიგინი მოციქულთა, არ ვაკვირს, რომ დახარეყს შემოქმედი მისგან ქმნულთა“!

მეფე-პოეტო ორცეცხლშუა იყო მოქცეული. მისი სულისკვეთება ენიხაღმდეგებოდა საზოგადოების შერყვნილ გემოვნებას, მაგრამ იძულებული იყო, თანამედროვე ტრფინი რომ ეიხმართო, კონიუნქტურის გზას დასაგმობოდა — მკითხველის გულის მოსახებად ვაპრსულა

საქართველოს  
პარლამენტის  
სტრუქტურა  
ბიზნესი



პოეზიის პოპულარულ ქმნილებათა გადმოქართულებით-სათვის მოვიკიდო ხელი. აი, როგორ გადმოქვეყნეს ამ კოლი-ნიის მეფე-პოეტს: „თუ საღმთო რაჲმ შესიარძნა, შიგ არ-ვინ ჩაიხედევდა, რა ეს ლაყაბი შევერიბე, ყველა ნახვასა ზედვედა არა ესე სჯობს, არ ესე — სიცილით ყველა ყბე-დედა, ვეგების სხვაც რომ ვასმინო, მე ესე შეიძვედა“.

იმედის ნაბურთკალი ბუჭტაედა პოეტის გულში. ვზა-სადვინლი მკითხველს ამ „ლაყაბით“ მოთაფლავ, მივი-ზიდავ, მივირვევ და მერე ეგებ სხვა რამც შევასმინო, ჭეშმარიტი პოეზია შევაყვარო.

და ნიჭიერი შემოქმედი ქედს უხრიდა სოციალური დაკვეთის მარად უძლეველ დიქტატს. მკითხველის გე-მოებტა ბატიონობდა (როგორც დღეს) და, ისევ თანამედ-როვე ტერმინი რომ მოვიმგვილით, მაშინაც საბაზრო ეკონომიკის კანონები მძლავრობდნენ.

ზადრე ბერნარდოს ინფორმაციასთან დაკავშირებით შეუძლებელი არ გაგვიჩნდეს ბუნებრივი შეკითხვა: საქარ-თველოში რატომ არ იყვნენ „მედრეკელ“ ეგვიპტისკაოსნის კიბებზე? ნუთუ ბუგაზიანი და როსტომიანი ერჩილიან?

იგივე თეიმურაზ პირველი ხომ სწორედ რუსთველს ინვევდა პოეტურ ორთაბრძოლაში, როგორც უჭოქმანოდ აღიარებულ ავტორიტეტს და ეგვიპტისკაოსნის ავტორიც (არჩილ მეფის პოემაში „ვაბასაგბა თეიმურაზისა და რუს-თველისა“) ბანს აძლევდა ოპონენტს, როდესაც ამაყად აცხადებდა: ჩემი ლექსი ყველგან გაქტესხა. ნუთუ „ყველ-გან“ მარტოაღენ მალაღ ფენებს ნიშნავს?

ბერი ეგნატაშვილი ამგვარად აბასიათებს XVII საუკუ-ნის შუა წლების ვითარებას ომებით გადაქანცულ-ილაფ-განყვეტილ საქართველოში:

„და იყვნენ დღითი-დღე სმასა და განცხრომასა შინა, ბოლო სულისათვის არარა ზრუნევიდენ. . . არღარა იყო სირცხვილი სიძვისა და შეძობისა“.

პაერი იყო ჩახუთული და ფოთალიც კი აღარ იძროდა. საჭირო იყო იდეოლოგიური რეკონსტრუქცია.

არჩილ მეფე ჭეშმარიტ ნოვატორად მოველინა ქარ-თულ პოეზიას. უწყობანოდ დაუპირისპირდა მალაღ სა-ზოგადოების გეგმევებსა, დაუპირისპირდა ბუგაზიანისა და როსტომიანის ზღაპრებს, თვალს მიაპყრო საქართვე-ლის „ოქროს ხანას“ და თამარისეული სახელმწიფოს საქ-მენი საგმირონია მოუთხრო მკითხველს თითქოსდა სანი-მუშოდ, თითქოსდა მისაბაძად, ვერ შორეული წარსულის ამბავნი გარდათქვა ლექსად და მერე უხალოესი წარსუ-ლიც გადააქცია თავისი შთაგონების წყაროდ. გაკვეთი-ლები გუთნოდღე ისტორიისა აუწყა მკითხველს განასას-ველად — არც კარგი დაიწყებია და არც ავზე დაუხუ-ჭავს თვალს.

სასრული ზღაპრების მათორებლა ბურანში ვახვეულ საზოგადოებას შეახსენეს, რომ არა მარტო ტკბილ ხმა-თათვის მოაველენს განგება ამქვეყნად პოეტს.

რომელ გამიანგანს, რომელი დიდი მწერლის შემოქ-მედებით ფანტაზიას ჩამოუვარდებდა ცხოვრებისეული ტრეგეზიით გამსჭვალული სურათები, რომელთაც პქე-ნი მარბაბა, ბაზალიტი, საფურცლე. . . რომელი დიდოს-ტატი შეთხზავდა ასეთ სულისშემძვრელ ეპიზოდებს, რომლებიც გათამაშებულან საქართველოს ისტორიის სცენაზე სულ რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში.

ის სხვა საკითხია, უშველიდა თუ არა გადაგვარების დაღმართზე დაქანებულ საზოგადოებას შორეული თუ ახლო წარსულის მოღვევარე წლების შესხენება. არჩილის პოემა კი არა, ათი ეგვიპტისკაოსანი რომ დაენერათ, დაღ-მართი დაღმართად დარჩებოდა.

ნიკო მარია თავის წინაგამ „საქართველოს ისტორია“, რომელიც დურთო მძაფრ პოლიტიკურ სტატუსს დეკა-ნოს ვოსტორგოვის შოგინისტურ მტკიცებობა შესახებ (სანქტი-პეტერბურგი, 1906), მოცემული ეპოქის დაბასია-თებისას აღნიშნავდა უჩვეულო ჩაღრმავებას ქართულ ეროვნულ თვითშეგნებაში. მკვლევარის სიტყვით, თით-ქოსდა განჭვრიტეს დამოუკიდებელი საქართველოს აღ-სასრული და ავტორიები, მეფენი თუ თავადნი, ჩქარბო-დნენ ეანდერათ თამაშოვალობისათვის პატრიოტული აღტკინების რეალური სინათლე და სიღრმე, გადაცვათ სანუთკარი, საუკუნეებგამოტლილი ფორტი და განსჯა იმითვერის, ვინც შეენაცვლებოდათ ქართული ხალხის კულტურულ ინტერესთა სადარაფხოზე.

აღლესანდრე ბარამიძე აღნიშნავდა, რომ არჩილი თუმ-ცა ქედს იხრდა რუსთველსა და თეიმურაზის მზატყრუ-ლი შემოქმედების უდავო ღირსებათა წინაშე, ამასთანავე, ცხადლოვ და გზბედლოვად უარყოფდა მათსავე ლიტერა-ტურულ მიმართულებას. არჩილი იწუნებდა რუსთველისა და თეიმურაზის მოჭარბებულ ფანტასტიკას, სპარსთა ნა-ჭირო ამბების გადმოქართულებას.

„ზღაპრულ ამბავს“ აღმაცვრად უყურებდა და „მარ-თალ ამბავს“ ამჯობინებდა გასალექსად — „მართალ ამ-ბავს“ ანუ ისტორიას.

მეზღაპრებდა თეიმურაზსა და თვით რუსთველსაც კი გულისხმობდა.

თუკი პოეზიას იდეოლოგიური იარაღის მნიშვნელო-ბას მივიანებთ (და ალბათ უნდა მიენიჭოს ძნელბედობის ფაქს), იმდროინდელი საზოგადოებისათვის, რასაკვირვე-ლია, თამარისა და თეიმურაზის ისტორიანი და აწმანი უფრო გამოადგებოდა ნიმუშად და გაკვეთილად, ვიდრე არარსებული ტარიზელ-ავთანდილისა.


იდეოლოგიური ბრძოლა მარტო იარაღს მოითხოვს, ბასრსა და მკაფობს, ყველა რომ ხედავდეს, ყველას რომ ესმოდეს.

## ბალახილი მათიან თუ პოეზია?

თეიმურაზ პირველს ხმალი უფრო ემარჯვებოდა, ვიდ-რე კალამი. არ შეცვდებოდა, თუ ვიტყვით, რომ არჩილის პოემა კი უფრო მალდა დგას, ვიდრე მისი პოლიტიკური მოღვენობა.

თუმცა აქ ერთი მომენტი უნდა გავითვალისწინოთ. თეიმურაზი, როგორც ტყვენიც, საგმირო დრო-ცამს შეეს-წრო და ღონეც შესენვდა გამკლავებოდა გოლიან მჭერს. არჩილის ხანა უფრო უღიმღამო გამოდგა, უფრული პერ-სონაჟებთა და დამკვირვებელი ვნებებით. გოლიათები უკ-ვე გადაშენებულიყვნენ.

XVII საუკუნის პირველი ნახევარი გაცილებით მძაფრ და მშფოთარე იყო, ვინაც ტრაკული, ვიდრე იმავე საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც გოლიან ცხოვრება არჩილს.





აღბათ ამიტომაც ამჯობინა, რომ დაენერა თეიმურაზ მეფის „აგტობიორგანი“ და არა — საკუთარი.

როდესაც არჩილის პოემის „გაბაასების თეიმურაზისა და რუსთაველისა“ ნათლავენ ვალექსილ მატიაუნედ, ამით თითქოსდა მისი დაკნინება ხანდით (ალვავალვ ოსტატობასაც უწუნებენ). არც წყალი არის, არც ღვინო, მარტოლაც, თუკი მატიაუნე, რომებდა და პათეტკას რა ესაქმება მემატიაუნის ფხიზელ კალამთან და სიენიჯესთან, და თუკი პოეზიაა, როგორ უნდა დაემორჩილოს იმ დანესებულ არტახებს, ისტორიული რეალიები რომ ჰქვიათ?

საქართველოში ოდითგანვე პოეზია სწავრავდა პროზას და რა ვაკვირია, რომ არჩილსაც ლექსად ვემეტყველებინა საქართველოს ისტორიის ორი გამორჩეული მონაკვეთი — თამარისდროინდელი „ოქროს ხანა“ და თავისი თანადროული ეპოქა „სისხლის ნემებისა“, სადაც აღმართულან რელიეფური ფიგურები თეიმურაზ მეფისა, გიორგი სააკაძისა და ზურაბ არაგვის ერისთავისა — თვითული მათგანის ცხოვრების ბოხოქარ პერიპეტებს, როგორც უთქვამთ, შექსპირის კლამით დახატვა ეკადრება.

გალექსილი მატიაუნე ეთქმის მხოლოდ თამარისდროინდელი საქართველოს ისტორიის თხრობას, როდესაც პოეტ კეთილსინდისიერად მისდევს თავის წყაროს („ისტორიანი და აზმანი მარაჟანდედთანი“) და ერთადერთი თვალმისაცემი გადახვევა ის გახლავთ, რომ მიხობულის როლში გვევლინება თვით შოთა რუსთველი, რომელიც ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის თვითმიხილველი და, ხშირადაც, უშუალო მონაწილეა.

სახელდაბელოდ ერთი საწინამუშო მაგალითი დავიზომოთ:

„და მოვიდეს ტვილის მეფის წინამე. მხიარული იქმნა მეფეთა მეფე, მნადლობელი ღმრთისა, მხიარულია პირითა გაგვიხა, ზემითა და დიდებითა. იყო ხმა ბუკთა და დუმბულთა... დაჯდა მეფე ტახტსა სამეფოსა“ (ისტორიანი და აზმანი მარაჟანდედთანი).

ახლა „გაბაასების“:

რა მოვედით თბლისს-ქალაქს, მეფე დაგვხედა  
 მხიარული,  
 დაგვიბაღლა გამარჯვება, ევზომ გრძელი სიარული;  
 ბუკ-დუმბულთა ზარისგან აღარ იყო თვალთა რული.  
 დაჯდა ტახტსა, მიოლკოცთ ხმა-ნარნარი, კარგ-უსული.

ხედავთ, როგორ ლექსავს მატიაუნეს პოეტი. კითხულობს წყაროში — ხმა ბუკთა და დუმბულთაო, ჰოდა თაბუპტიკებულად აფერადებს: „ბუკ-დუმბულთა ზარისგან აღარ იყო თვალთა რული“.

სულ სხვა სურათი წარმოჩინდება „გაბაასების“ მეორე ნაწილში, რომელიც თავისი იდეურ-ესთეტიკური ღირე-

ბულებით უფროდ აღემატება წინარეს, ისტორიის ლექსად გადალექვის რომ წავაგავს.

XVII საუკუნის ძირითადი ქართული საისტორიო წყაროები (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი) ჯერ დაბადებულნიც არ იქნებოდნენ, ფასადან გორგვიანოდ მხოლოდ საუკუნის მიწურულში, გაასრულეს თავის თხოვლუებას. ასე რომ, არჩილი შემატიაუნეც არის და პოეტიც.

„გაბაასების“ წინათქმადი ავტორი გვაუწყებს: თორმეტ წელიწადს კახეთში ვემყოფიდი, თეიმურაზის დაზარდლი და ნამსახური დარბაისლი გვერდით მახლდნენ, გამოვკითხავდი მეფის ნამოქმედარს და ისინიც მიამბობდნენო.

არჩილის მიერ გალექსილი „აგტობიორგანი“ თეიმურაზისა წარმოადგენს სინამდვილეში მომხდარის ასახვას, მაგრამ არაერთგზის ქვეშარტიკი შემოქმედებითი ფანტაზია ესტუმრება ავტორს, რის საუცხოო ნიმუშად გამოდგება თეიმურაზის მიერ, თუ შეიძლება ასე ითქვას, დატორება მისივე ბრძანებით მუხნათურად მოკლული ზურაბ ერისთავისა.

ეს გახლავთ ათი სტროფი ბრწყინვალე პოეზიისა, რომელიც დაამწვერნება ქართული ლექსის ნებისმიერ ანთოლოგიას, გინდ მეჩვიდმეტე საუკუნისა იყოს და გინდაც — ოცდამეხუთისა.

აბა ვინ რის დაუნუნებს თუნდაც ამ სტროფს:

ენა მილინელი გონებას, მყუდროსა, მშვიდად  
 დებულსა,  
 გულსა განმსჭვალავს და ლეიქლსა გაააპობს,  
 სიბრძნით ქებულსა,  
 ანაზდად აღსძრავს რისხეასა, შეიქს  
 ცეცხლ-მოკიდებულსა,  
 აღდღუებს ნაღველს ცეცხლთაებრ, ცნობაზედ  
 ზედ მინებულსა.

ანდა იხილეთ ეს შემზარავი აღსარება მეფე-პოეტისა:

ღვთისა შემწინის, კაცთაგან მრცხვენის ამისსა  
 მეყოფის!  
 გული გაშმაგდეს და ხელი შეხმეს მის ლაზერის  
 მეყოფის!  
 სახელმწიფოთი ოზრად მიჩნს, რას ვაქნე მე  
 საყოფელსა?  
 იმ სოფელს ნუმც მეკითხება, გარდამხდეს ამავე  
 სოფელსა!

ათასი ზიზილ-პიძილები და ტვინის ყყლეტანი რომ მოგვხვებიოს მომვეწო საუკუნეთა მღელთამღელ მომად, კოსმოსის დაარქმევ თუ გლობულურს, ზემოთქმულს ვერაფერს დააკლებს, ფერს გერ დაუქარავს წარმავალი ვერ დათრგუნავს ნარუვალს, ციციგონებისმიერი — გუ-



არჩილ მეფე





ლიდან აღმოხებოდა, ამოკითხულის გადამღერება — განცდილასა და ნანუნებს.

ის ათი სტროფი, სადაც თეიმურაზი დაწერილობით ჩამოთვლის გვილიანი ენის მომპყვინებელ ნამოქმედარს და შემდეგ საქვეყნოდ ინანიებს თავის შემზარავ დანაშაულს, შემწარბიტი პოეზია არის და არა — გაღუქსილი მატიაზე.

ძალზე საეჭვოა, რომ ამგვარი აღსარება ეთქვა მეფეს გინდ სულიერ მოძღვართან და გინდაც თავის თავთან.

მეფე, თავიანთი გულითა და გონებით, განსხვავდებოდა უბრალო მოკვდავთაგან, რომელთაც მხოლოდ საკუთარი თავი და საკუთარი ოჯახი ახარიათ. და, ალბათ, გაუჭირდებოდა ქვეყნის მმართველის თვალთ შეხედონ ამა თუ იმ მოვლენას.

მეფე, ღვთისგურთებული მეფე, თითქოსდა ასრულებს ნებას უფლისა. მას ასე სჯერა და ასე სწამს — ისევე როგორც მის ქვეშევრდომთ. როდესაც ანგარიშობს, თუ რას მოიგებს ან რას ნაიგებს ამა თუ იმ ნაბიჯის შედეგად, განა შეიძლება იქ ადგილი ჰქონდეს გულჩვილობას, სინდისის ტენჯვას, მონანიების წყურვილს?

იმსახურებდა, დაიხატა იმსახურებდა სიკვდილს მრავალი ავი სპიქის ჩამდენი, ვერავინ და დაუნდობელი ზურამი ერისთავი.

ტყუილად როდი გამოაქვთ პირუთვნელი განაჩენი როგორც ქართველ, ასევე იტალიელ ისტორიკოსს.

ზერი ევანგელისტი: და აღსრულდა ბრძანება უფლისა მის ზედა, ვითარმედ: რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითა იცა ნარწყმდეს\*.

ბარონოზო ფერი: ასე დაიღუბა ის, ვინც აუჯანყდა თავის პატრონს და უღალატა მეგობარს. ღვიწმინკრებული არ იყო ღრისი სიცოცხლისა და თუმცა უფალი ზოგჯერ ავიჯანყებს სასჯელს, გაუქმება არა სწყევია\*.

უცილობლად უნდა დავასკვნათ, რომ ზემოთქმული ათი სტროფი, ნიშნში ბრწყინვალე პოეზიას, არ გახლავთ რეალური თეიმურაზ პირველის მიწაწერი მონოლოგი. ეს არჩილისეული თეიმურაზია, ფერუმარტივებულად და შეღამაზებული სულით რომ წარსდგება უფლისა და ისტორიის წინაშე.

როდენ ძნელი საფიქრელად და განსასჯელად იმ დროების ქერქში ჩადგება (როგორც ილია ბრძანებდა!). ერთმეორებს აწყდება პოლიტიკურ ვებებას ლაბირინთები, ვარულუი მტრის ზეაწებები, შინაურ მტრთა სისინი, უსაზღვრო ამბიციები და ძვალ-ბრძოლი გამგვიდარი წყურული აღზევებისა, სხვათა ძლიერისა, სხვათა დაჩაგრვისა — უსოვარ დროთაგან რომ მოგვდევს და ქრისტიანული სარწმუნოებასაც კი ვერ გაუქარწყნებია.

სასტრობო წყართა აკადემიურობას ჩრდილავს პოეზია. არჩილის მიერ ლექსად თქმული, ისევე როგორც ფოლკლორი, სიმპათიას აღძრავს უდვილად დაკლებული ზურამ ერისთავის მიმართ. გულისტკივილი, სამართლიანია თუ უსამართლო, ჩნდება მეფე-პოეტის მჭვერემტყველი კალმის წყალობით.

როგორც არაერთხელ მომხდარა, პოეზია იმარჯვებს რეალობაზე.

და არჩილი გარწმუნებს, რომ სწორად ასეთ თვითგვემას შეუძრია თეიმურაზის სული, რომ გაღვივებულად დაწყვიტოდა და დაბინებამდე გააყვებოდა მწარე ფიქრი,

წხვლევდა გულსა და გონებას, არ მოასვენებდა და არავრთვხის მოვლანდებოდა თავგანებელი ზურამ ერისთავი.

და აღარ არის გასაკვირი, რომ ღვთის სასჯელად ჩათვლიდა თავზე დატეხილ ვებათა რიგს. მარტოს ის კმარა სათქმელად, რომ შეილებს ვიღა ჩივის, ორი შეიღობილის სიკვდილს მოესწრო\*.

რომელი მატიაზე მისცემდა თავმსახვარს გაუბედურებული მამაცი მეფის ათსტროფიან გოდება-მონანიებას, სადაც მხატვრული სახებითა აღწერილი, თუ როგორ სწამლავს ადამიანის გულსა და გონებას ავი ენის გესლი.

და როგორ შეიძლება ამას შევარქვთა ვალექსილი მატიაზე?

უფრო უპირანი იქნებოდა, ლექსად დაწერილი დოკუმენტური რომანი გვეწოდებინა.

**ანანაქინტლა მარბალიტაში**

თუკი ძალზე მაღალი სამრეკლოდან გადმოხედვით არჩილ მეფის პოეზიას, ალბათ, გეპატარავებათ თვალში და დასაკენით, რომ არჩილი არ მიეკუთვნება იმ პოეტებს რიცხვს, ვისზეც იტყვიან ხოლმე, ციანდ ვარსკვლავებს სწყევტენ. გულზე ხელი დავიდოთ და გაღიაროთ, რომ მისი მთავარი თხზულება „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, ზემოთ აღნიშნულ მხატვრულ ღირებებათა მიუხედავად, ჩვენთვის უფრო ძვირფასია, როგორც საისტორიო წყარო, რასაც თავად წყაროთა სიმძირვე და სიმძირვე განაპირობებს.

მაგრამ არჩილის საკმაოდ ვრცელ შემოქმედებაში არავრთი მარგალიტი მოიპოვება (თუდაც პანანკინტლარი დაფარული), რაც თვებანათელე მტყველებს, რომ მეფე-პოეტი ამაოდ როდი დამშვრალა მოცაყლებს ჟამს და ღვთაებრივი ნიჭის ნაქრნელები, არცთუ იმითადა, მის კალამსაც დაფრქვევია.

საკამარისა გაეიხსენოთ ნოსტალგიის უაღრესად შთამბეჭდავი და ლაკონური სურათი, ორად ორი სტროქონით რომ დაუხატავს: „თუ კაცსა მიპხვდეს კძალად ყოფნა უცხოს თემსა და მიწებსა, შარბათიე ჰქონდეს სასმელად, ნაღველად აღმოიწება“.

რამდენ ქართველს აუთრობოლებდა გულს ის სიტყვები, რომ მოსწრებოდნენ ამ აფორიზმის დაბადებას და რამდენ ქართველს მოხვდებოდა გულზე უკვე შემდგომში, ნებით თუ იძულებით რომ გადახვეწილან სამშობლოდან, რომელიც ქრიაფრთია ამქვეყნად, თუდაც ოდინდელი იერი აღარ მოსდგამდეს ათას ჭირ-ვარამში შეღამულსა და დაბეჭავილებს.

რალა შორს ნავიდეო, მოსკოვში დამკვიდრებულ არჩილსა და მის მოადგენო ძმას — გიორგი XI-ს, ყანდარის ბეგლარბეგად გადაქცეულ ქართლის მეფეს, ზემდინენით მოერგებოდათ ტკბილი შარბათის მოჩვენება მწარე სასმელად.

ასეა თუ ისე, არჩილის სახელი მაინც დაწინებოდა ქართული პოეზიის საგანძურში ამ ორი და კიდევ ორი სტროქონის წყალობით, ზემოსხენებულ პოემაში რომ გვხვდება. ავტორი ათქმევიანებს თეიმურაზ პირველს: „ასრე



სქირსა საქართველოსას დიდებული, გინა მცირეთა, აზ-  
ვედებიან, იტყვიან: უჩემოთ ვინ იმღერეთა?\*

ეს აფორიზმი არჩილსა გამოგვეცემს რეალურ პი-  
როვნებათა (ზურაბ არავაგის ერისთავი და გიორგი სააკა-  
ძე) სულისკეთებებს და მოქმედებასაც, ზოლო სანდო სა-  
ისტორიო წყაროებში შემოხაზული მასალა ადასტურებს  
მეფე-პოეტის აფორისტულ ნათქვამს, უკურნებელი «ქარ-  
თლის ქირის» ფორმულად რომ გამოდგებოდა.

„უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ რა თქმა უნდა, ყველა ქვეყ-  
ნისთვის დამახასიათებელი ფენომენია და უსსოვარ დრო-  
თავან მოსდევს ადამის მოდგმას, მაგრამ ჩვენში, ჩანს,  
უფრო ძალუმად იყო ფესვგადგმული და უფრო ხმამაღლა  
ქვარდა.

არჩილის აფორიზმს კვერს უკრავს როგორც წინარე,  
ასევე მომდევნო საუკუნეთა გამოცდილება. მას წარმატე-  
ბით მოუღწევია ჩვენამდე და, ალბათ, მომავალშიც არ  
გაგვეყრება.

„უჩემოთ ვინ იმღერეთა?“ — დღევანდელ საქართვე-  
ლოშიც, საუბედუროდ, დიდი პოპულარობით სარგებ-  
ლობს, დღენიადავ იჩენს თავს, ბოლოდ ხშირად არც კი  
უწყიან მისი ავტორი, ზოგჯერ ფოლკლორი პეონიათ,  
ზოგჯერაც — რუსთველი ანდა რომელიმე თანამედროვე  
შაირმღელესც.

არჩილ მეფისაა, არჩილ მეფისა — ეს აფორიზმი, დევი-  
ზად არმ შემდეგით ნაწერით თავიანთ ფარზე ან სასახლის  
გალავანზე ქართველ ფეოდალებს, ძველთა თუ ახალთა.

ხუმრობა საქმეა, ორიოდე სტრიქონში ჩაატო ეროვ-  
ნული ბუნების ლამის მთავარი კვიბისტენცია, ეგვიპტუა-

ნელი სათავე არაერთი კონფლიქტისა (ნარსული იქნება,  
ანშუკო და ეგებ მომავალიც).

ეს უღმეველი სენი შავ ფერად შერევა ყველა სიყე-  
რის, სათნოებას, ქველობას, რაინდობას. დღეს მოგაჩე-  
ნებს ლამედ და ეკლობას — ყშიულიად, ყველაფერს უკარ-  
გავს ფასს — ოქროსაც და ყვავილსაც.

უღმებელი დრო-ფაში, როგორც სწევია, თავის ნე-  
სებს აპევიდრებს, ძალ-ღონეს ართმევს სახელმწიფოველი  
აფორიზმებს, სჯავს სიცოცხლესა ნაძრახსა იქნება თუ  
ხამს მოყვარე მოყვრისათვის, ექვექვემ აყენებს მათ სი-  
მართლეს, აბსტრაქტულ ქუმმარიტებად აქცევს, უნაყო-  
ფო მოწოდების სტატუსს ანიჭებს.

არჩილის აფორიზმი, რომელსაც ეგებ რუსთველიც  
მოაწერდა ზელს, შეუპოვრად უძლებს დროთა ცვალებე-  
ლობას, სიცოცხლეს ინარჩუნებს და კიდევ უფრო მძე-  
რმეტყველი ხდება.

სწორედ ჩვენმა დღევანდლობამ, ჩვენი ავის მოსურ-  
ნეს აკრიახებულ საქთმედ რომ ეჩვენება, გაათაკევა ფა-  
სი ამ ორი გულსაკლავი სტრიქონისა. თქვენ წარმოიდგი-  
ნეთ, ისინიც კი იმომწეველ სხვათა გასაკლავად, ვისაც ზუს-  
ტად მისადაგებად არჩილის ნათქვამი.

მარადიული სტრიქონები ფერს არ იცვლიან ახალთა  
ქართა ქროლისას. ყველი არასოდეს გაუვა შექსპირისე-  
ულ „ყოფნა-არყოფნას“.

და აროდესაც აზვაგედება დიდი თუ მცირე, კოინიერი თუ  
უგუნური, კეთილიც და უკეთურიც, ყოველი კუთხე-კუნ-  
ჭულდან თითქოსდა ისმის და ყურსა ზერტს უკედავი  
აფორიზმი არჩილ მეფისა: უჩემოთ ვინ იმღერეთა?..

ლიტერატურული ცხოვრება

კონკურსი ახალგაზრდა მწერლებისათვის

დედაქალაქის საკრებულომ ელექტრონული ბიბლიო-  
თეკა lib.ge-ს მიერ გამოცხადებულ ლიტერატურული  
კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოებას უმასპინ-  
ძლა.

**გიორგი კეკელიძის** თქმით, პროექტში, რომელიც  
საკრებულომ დაფინანსა, 197 ავტორი მონაწილეობდა.  
მთავარი პირობა კონკურსისა კი იყო ერთი პოეტური ან  
მცირე ფანრის პროზაული ნაწარმოების წარმოდგენა. მო-  
წინაწილთა ასაკი 18-40 წლით განისაზღვრა.

ფიურში, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ: **გაგა  
ლოშიძე, ლევან ბრეგაძე, ნათია ნაცვლიშვილი, დიანა  
ანდომიანი, ზაალ ჩხეიძე და ლაშა იმედაშვილი** —  
მონაწილეთა შორის პროზასა და პოეზიაში 15-15 ავტო-  
რ გამოაჩნია, მათგან კი სამ-სამი საუკეთესო გამოე-  
ლენდა.

სამოლოოდ პრიზები ასე გადანაწილდა:

**პოეზია:**

- I ადგილი — შალვა ბაკურაძე;
- II ადგილი — ეკა ქვეანიშვილი;
- III ადგილი — ალექსი ჩიკვილაძე.

**პროზა:**

- I ადგილი — ნინო თარხნიშვილი;
- II ადგილი — გურამ ნავროზაშვილი;
- III ადგილი — ალექო ციტიშვილი.

გამარჯვებულებს პრიზები პოეზიაში ნათია ნაც-  
ვლიშვილმა, გიორგი ლობჯინიძემ და გაგა ლოშიძემ,  
პროზაში კი **ზაალ სამადაშვილმა, თეონა დოლენჯაშ-  
ვილმა და ქეთი ნინიძემ** გადასცეს.

ცერემონიაზე, რომელსაც დიანა ანდომიანი უძ-  
ღვებდა, გამარჯვებულები დამატებით პრიზებითაც  
დაჯილდოვდნენ.

რადიო „მუზა“ I ადგილის მფლობელისათვის დაანე-  
დას კუბის კრებული სიმონიური ორქესტრის ჩანაწერებით.  
ფურნალმა „მადიანი“ ექვსივე ფინანსისტს ლვინობი  
და ფურნალი უსაჩუქრა.

ფურნალმა „ლიტერატურულმა პალიტრამ“ კონკურ-  
სის ყველაზე უმცროსი მონაწილე სალომე შენგელია ერ-  
თნლიანი ხელმოწერის ბარათით დააჯილდოვა.

მალაზია „პარანამა“ კი ექვსივე გამარჯვებულს წიგ-  
ნები უსახსოვრა.

მიშა ბახსოლიანი  
(არყის ბიჭი)

# მოყლუპე, სანამ გაქვს

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— გაჭირვებული მდგომარეობა როდესაც იღვიძებ მუხიანში, რკოს სახლში, ადრიაინ დილის რომელიღაც საათზე, სადაცელ უახმეოლაზე, ყელში და ჯობში ვეღლით და ცდილობ გაფარჩაკებულ სამზარეულოში საქმლის მოძებნას.

— სად ისურვებდით ცხოვრება?  
— სადმე თბილ კუნთულზე, გამზდარი გოგოებითა და არყის ბოთლებით გაგებულ დიდ სახლში, უმეზობლოდ, უინტერნეტოდ და მიშვილი.

— რა არის უმალესი ბედნიერება?  
— როდესაც მოსანვეი ყველას ყოფნის.  
— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?  
— მარი, მოშე და კელი.  
— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?  
— მარი, მოშე და კელი.  
— თქვენი საყვარელი მხატვარი?  
— კელი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?  
— მოშე, ის მოშევის მუსიკას წერს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— მთავარია არ წუნუნებდეს.  
— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— არიან ქალები, რომლებიც ქამენ და არ სუქდებიან. ვგიფდები ასეთ ქალებზე.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი?

— გულმორწყალება. მიეცით და მოეცეცებით. კი არა და მომეცით და მოეცეცებით.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?  
— არქეოლოგია.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— უემბერ მახათელი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?  
— სიზარმაცე. მე იდეალური ზარმაცი ვარ ხანდახან დაძინებაც მენარება.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?  
— ბეჭეს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?  
— ნებისმიერი საშუალო ძალიან მალე მებზრდება.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?  
— იტალიის ქალ ფრენზურთელთა ნაკრების მწვრთნელობა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— სახეე არყის ბოთლი რომ გამიტყდეს, ცარიელი გატყდეს, პრობლემა არაა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— როგორიც ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მწვანე.

— ყველი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— ყველები არა, ბალახი მიყვარს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?  
— მთავარია არ იკბინებოდეს.

— თქვენი საყვარელი მწერალი?  
— ბორის ვიანი.

— თქვენი საყვარელი მოცეტი?  
— ზურა ჯიშკარიანი და ტიოკუტავა სამაქეტი.

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?  
— ნინო, ნანა, ნინი, ზინკა, ნინო, ნინელი, ნინუცა და კელი.

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?  
— ლეო ნაუტა.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?  
— მატა პარი.

— საყვარელი სახელები?  
— არი.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?  
— როდესაც დილით ადრე მალეძებენ.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზილი დაიმსახურა?

— გნუს მოშეუსი, ის თავს ერთი თითით იფხანდა.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი შეტნალები აღტაცებისა?

— გორის ალყა. კონკრეტულად კი ის დღე როდესაც ვახტანგ რომელიღაცამ სუფრაზე მწვანელი მოისაკლისა და ოცეული მის მოსატანად გაუშვა. თითქმის ყველა დაიბოცა, მაგრამ გადარჩენილმა იმდენი მწვანელი მოიტანა, რომ გაბარებულმა მეფემ აზნაურობა უბოძა.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმალეს შეფასებას აძლევთ?

— ეს მოშევის რეფორმა: ახლო მოშევის და მარნოუანის ლევალიზებას შეეხება.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?

— საფეხბურთო ანგარიშებს მინდა ვიცნობდე ნინანარ ან ნყალს არყად ვაქცევდე.

— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?

— სულაც არ მინდა სიკვდილი, მაგრამ თუ აუცილებელია ისეე ძილში ჯობია.

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?  
— ისევე ისეთი.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?  
— მე გზონი ნაფტას უფლება აქვს სეას.

— თქვენი დღეიზი?  
— გოგულუკე, სანამ გაქვს.





დავიბადე თბილისში 1980 წ. 18 დეკემბერს. სკოლა დავამთავრე 1997 წელს, ამავე წელს ჩავაბარე ოსუს- ბიზნესის ფაკულტეტი. იმავეროდესვე დასრულდი ფსიქოლოგიის ფაკულტეტიც.

პირველი მოთხრობა „ძმები“ დამიბეჭდეს გაზეთში „ალტერნატივა“. თავდაპირველად ვაქვეყნებდი ფსევდონიმით „ზემა“: ამავე ფსევდონიმით 2002 წელს გამოვეცი „ნიგნი შენ“. 2007 წელს კი მომზადდა ექსპერიმენტული ნიგნი „კამა სუფრა“.

2003-2004 წლებში ზედიზედ ორჯერ გავხდი პრეზიდენტის სტიპენდიანტი.

პერიოდულად ვაქვეყნებდი ნოველებს უწინააღმდეგველად „ცხელი შოკოლადი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ქარი“ „КВЕСТНИК“, „New Wave“... ჩემი სცენარის მიხედვით გადაღებულია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კვენტინის სათვალე“, რომლის ჩვენებაც ქართულ კინოთეატრებში მიმდინარეობდა.

2007 წელს მოთხრობამ „მრავალჯერადი ბოთლები“ მიიღო ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ დანესებული მცირე პრემია და შევიდა „ნლის 15 საუკეთესო მოთხრობის“ კრებულში. ამავე წელს ზემოხსენებულმა გამომცემლობამ გამოსცა ჩემი ნიგნი „მრავალჯერადი ბოთლები“.

გურამ მეგრელიშვილი

# ნენი

## ლიტერატურული გამომკვლევა

### I ნაწილი

შეუძლებელია შემინული არ გყავდეთ. გლდანის, ლომისის სახელობის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, ნაძვის ძირში ზის ხშირად. ნათრების კვალი იმდენად ემჩნევა, ის მოკლე კაბა რომც არ ჩაიცვას, მაინც მოუფდევი და ტყვი: — საიდანაც მეცნობი, ხო იცი? ის გაგიცინებს (უკანა კბილები გაფუჭებული აქვს), ხელს დაგადებს მუხლზე და კაი ოხერი იწმები შენცო, გეტყვის. მერე მზესუნზირას აკანანუნებთ და როცა ლაპარაკით დაიღლებით — მასთან მიდინართ. ის გლდანში ცხოვრობს; მეორე მიკრორაიონის დასაწყისში, ერთობლიანი ბინა აქვს ნაქირავეები და შენნაირი სტუმრებიც იქ მიდიან. როცა შეხვალ (თუ პირველად ხარ), გაგიკვირდება სხვა კაცი რომ დაგხედება ლოკინზე გამოტლილ, მაგრამ ის კაცი ჩუმად მიდის. თუ მალე ნახავი, შო-კარგი, თუ ლამე დარჩა კიდევ, ის კაცი ჩუმად შემოდის და ერთი ბერო სამხარეულოში (ყავლაშვილის პროექტის პატარა სამხარეულოები აქვთ) ნებვა ტანტზე. შენ ალბათ საქითავ ნების, ვინაო და გოგოც გინახუბებს — ჩემი ყოფილი საყვარელი! თურმე ის ნარკომანი იყო, მერე ნაძალ თავი დაანება და ვალითადა, მაგრამ ლეილი ისეთ მდგომარეობაში ჰქონია, სისხლს აღებინებს. ხოლო კოქსილბს იმიტომ, რომ ავარიამო მოჰყავა და ხის, თუ პლასტმასის ფეხი აქვს. როცა ანებებს გიყვება ნესი, შენ თული, რომ გერუნუნება. გადახედვები იატაკზე დაგდებულ მარგალს, ამოიღებ ფულს და გადაღრეცილ ტუმბოზე ჩამოვბ. ნესი გადმოხედავს და მართლად ბრაზდება. აიღე! — გეტყვის და დგება — მე მივდივარ, თუ გინდა, დარჩი შენ, რა თქმა უნდა, არ რჩები, ის კი სამასბურში მიდის. ნესი ჯიხურში მუშაობს გამყიდველად. მეორე, ოთხ ლარს უხდის, მაგრამ რვა ლარამდე გამოიწივს დღეში. ჯიხურის მევატრონე კმაყოფილია მისით, რადგან ბერი კლიენტ ჰყავს,

თუმცა, ყოველი შემთხვევისათვის, პროფილაქტიკის მიზნით, სამუშაო დღის ბოლოს, გავდებით ემუქრება ხოლმე ნესის (მაგრამ ამ უკანასკნელს კარგად ესმის მუქარის მიზანი და მშვიდად ისმენს და იტანს შეურაცხყოფელ სიტყვებს).

ის რვა ლარი, რასაც შოულობს, მინცდამაინც არ ჰყოფნის ნესის, რადგან, ჯერ ერთი, კოჭლი უნდა შეინახოს, მერე კოჭლის მოხუცი მამია, მერე საკუთარი თავი და მერე, ზოგიერთი შენნაირი, რომელიც სახლში ნასასხელედ ფულს სთხოვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნესი არასოდეს იღებს სიყვარულისთვის ფულს და ალბათ, ამიტომაცა ჩვენ მეორე რომ ვართ, თორემ ნესისთანა ქალი მალე მოსაბერებელია, რადგან საწოლში მაინცდამაინც ვერ იჩნებს თავს. მიუღივს დღის ნამუშევარი, დაგინებდა თუ არა, ბლიტავს თვალს და ისე მალე იძინებს, გიკვირს, ცუდად ხომ არ გავხდით. თუ უკვე იცნობ, შეიძლება მეტყველოს და არ გააღვიძო, თუ არა — მუჯუღუგუნს ჰკრავ, ხელმოერედ გადაანებები და ცოტა ბრაზიანც თუ ხარ, აიძულებ გაუქვრებლიც ილაპარაკოს. ის მართლად ილაპარაკებს, შეიძლება უაზროდ, მაგრამ მაინც ილაპარაკებს და მერე შენ ჩაგეძინება. დღითი კი, ძალიან დღითი, ნესი ნასულა. ტუმბოზე წერილი დეგს — საოჯარი ვინმე ხარო და ნასულაა. შენ, (თუ არ იცი, რომ ყველას ამას ეუბნება) გაიფუყები და ამაყად მი-მოატარებ ოთახში თვალსა. პირველად, შეიძლება ბორბტმა აზრტაც გაგიფუტოს — შეიძლება გადააქოთი იქაურობა და რამე ფასიანი ეძებო, მაგრამ მეორედ არაფრის დიდებით არ იხამ აწის, მეორედ, პირიქით, შეიძლება სადმე კუთბეში მიაგდო ფული და ნახედვ, მაგრამ ერთი, რაც ცხადზე ცხადია — ეს საწოლი შეგიყვარდება. არადა, არაფრით განსხვავებული საწოლი არაა. რეჩის ძველი, ზამმარებიანი საწოლია, რომელზეც მატრასიც კი არ ავია.



### პაუზა

ამ მონაკვეთის დაწერა, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მქონია უკანასკნელ წუთამდე, სანამ ნაცნობმა სოფიკომ, პირში არ მითხრა სიმართლე; და მაინც, ვეცდები ნაკლებად გულახდილი ვიყო:



ესე იგი, ავადმყოფობა და მემკვიდრეობა (არა, მთლად ავადმყოფობას ვერ დავარქმევ იმას, რასაც ჩემი ფსიქოლოგი ნევროსი უწოდებს) დაახლოებით ორი წლის წინათ, მას შემდეგ, რაც ფეხსაცმელი მარჯვნივ ფეხსაცმელი საკმაოდ კარგია (ის ახლაც მაქვს შენახული, როგორც ნივთმტკიცება) დასავლეთი ევროპული რომელიღაც ქალაქი, რომელიღაც ცნობილი ფირმისა. ფეხსაცმელი ოდნავ ნახშირი იყო და თუმცა გარეგნულად მშვენივრად გამოიყურებოდა, მაინც იყო ერთი რამ, რამაც კაი ორი — სამი თვე (სანამ საბოლოოდ შეეწვევიდი) ფეხი მატკინა. ამ ფეხსაცმლის ძველი პატრონი ქუსლებს შიგნით ცვეთდა, მე კი პირიქით — გარეთ ცვეთათ! ამან კი, როგორც ვთქვი, ფეხი მატკინა, მაგრამ იმასთან ერთად, რომ მეც შიგნით დაფინჯე ქუსლის გაცვეთა, სხვა სერიოზული ცვლილებებიც დამეჩინა:

I ცვლილება: — ცხვირი გაღუნული მქონდა მარცხნივ, ახლა მაქვს — მარჯვნივ.

II ცვლილება: — სახე და ტანი დამიმრგვალდა, ხშირად ვიფურთხები.

III ცვლილება: — სამარშრუტო ტაკსში, ადრე ვვადებოდი მარცხნივ, ახლა ვვადები მარჯვნივ.

IV ცვლილება: — განსაკუთრებულ სიაშოვნებას მინიჭებს სიბინძურები ამოსვრა და მერე ბანაობა. ხან-დახან, დაბანის წინ, ქაობი ჩავდივარ, ტალახში გავეგორდე-გამოვეგორდეები და მერე, ათმაგი სიაშოვნებით ვბანაობ.

V ცვლილება: — დედა უფრო შემოყვარდა, ვიდრე მამა. ევკალიპს მამაზე აღარც ვიფიქრო, ვითომ გამოზნაგონია...

VI ცვლილება: — ლოკვა დაფინჯე ქალურ ხატებთან.

და VII და უმთავრესი ცვლილება, რომელზეც ქვევით უფრო დანერვილებით ვისაუბრებ.

VII და უმთავრესი ცვლილება:

ჭამამი (შესაბამისად სექსშიც) ძალიან პრეტენზიული ვიყავი, მაგრამ ეს პრეტენზიული დამოკიდებულება ქალთა სექსისადმი ცალმხრივად შეიცვალა. საკმარისია, ქალი, თუნდაც (ფუჰ!) ბინძური და შეუღებავი, კარგად ჩაცმული, კარგ მანქანაში, ძვირფასიქოლოებით შემკული დაფინჯილი, მაშინაცვე აღვივებები და აღვზნებულნი ვარ მამაში, სანამ თვალს არ მოვაპოვებ, ან სურვილს არ დავმწყაოფილებ. ამ ცვლილებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ძველ პარტი-ნიერებს (წინალობრივ) დამოწოდი და ძიება დაეწყო ახალ სექსუალურ ობიექტებს. ყველაფერთან ერთად, აღმოვაჩინე, რომ თურმე, მატრონიზმი, იმაზე მეტი სულიერი მუდგობაა, ვიდრე ჩვენ გვგონია და რომ ყველაფერი ამბოღობული, თვით ხელოვნებაც კი, შეთხრობი და აუარაობა იმდენად, რამდენადაც ცოცხალზე მეტად მატერი-ალისტები ხელოვანი ხალხია. მამ, რა არის ჭეშმარიტება? — ჭეშმარიტება ისაა, რასაც შენი გონება მინიჭებდა, ანუ ის, რაც შენ გ-გონი-ა, რომ ჭეშმარიტებაა, რადგან, საბოლოოდ, ჭეშმარიტება მინც ვიღაცის გამოზნაგონია; აქედან გამოზნაგონარე, გადავწყვიტე თავი დამენებების მატერიალიზმის ყველაზე შენიღბული და მდაბიო ფორმისთვის — ნერსთვის და ფულს შიგნად დამენჯიო რამენარეა, ნებისმიერ სხვა საშუალებით. ამასთან, დავრწმუნდი, რომ მეცნიერულად მოაზროვნე გონება

ბევრად ხალა, ვიდრე მისტიკურად და ტრანსცენდენტურად მომშვემე ტვინი. თვით რელიგიაც კი, ვერაფრით აცდა მატერიკა, რადგან ჩვენი აზროვნება, დედა-მინის-ეული აზროვნება, ხატ-სახეების გარეშე ვერ წვდება ზე-დამინაობას. აქედან გამოვდინარე, ხატები იმიტომ შექმნა ადამიანმა, რომ შეფარულად სცეს თავყბი მატერიკა, ან იმიტომ, რომ სინამდვილეში, ის ხატი მართლაც ღვთიურის მატერიალური გამოვლინებაა. აქედან დასკვნა: — მატერ (ლთა-დედა) იალისტური და იდეალისტური მსოფლმე-დველობა ერთი და იგივეა, ორივე ერთად კი, იმაზე მაღალი არ არის, ვიდრე ერთი უზარალო ვაშლის ხეა.

**ჩემი მინი დღისე:**

დაეიბადა აზროვნებითი ვერძის ნელს, 25 იენისს, თბოლისში, რკინეზის სამშობიაროში. ბავშვობაში სერიო-ზულნი ტრავმა არ გადამიტანია. ვერ დედისერთა. ესნალობ უნივერსიტეტში, საბანკო-საფინანსო დაკულ-ტეტზე. ჩემი ფსიქოლოგის აზრით, მაქვს განდიდების მანიის (მეგალომანია) უკანასკელი ფაზა. მიდრეკილება მაქვს სუიციდური აქტისკენ, ალკოჰოლისკენ, ნარკოტი-კებისაკენ. გამძაფრებული მაქვს სიაშოვნების მიღების სურვილი. გამოვიჩინე ემოციურობით.

მოკლედ, ესაა ის მოზაკვეთი, რომლის დანერც მე ძალიან არ მინდოდასავით!

**II ნაწილი**

ჩემმა დიდე ხნის უნახავმა მეგობარმა, ვალერიმ გამო-მიარა სწორედ მაშინ, როცა უბანში ვიდექი, ვიფურთხებოდი, მანქანებსა და ქალებზე ვლაპარაკობდი და უზომოდ მსურდა გამდიდრება. ნავედით, ლული და არაყი დაეღილი და რადგან, ამ დროს, მძაფრდება შინაგანი თუ ქვენაგანი გრძნობები, ქალები მოვინდა. ვალერის სცოდნია ერთი, რომელიც "გესპრობლემ" იძლევა და იქით მოგვექმს ფულს, თუკი ვთხოვთი.

— ღოღე, შენ შეძლება არ დაგვესოს, ისეთი არაა, რა... — ფულს თუ მომიცხვ, კაპისიაც ვინბარ-მეთი და ნავედით. კარბი ქოქლა გვალად და შევეპარტია. დავესხედით და ნესიც გამოვიდა. დაბალი, გამზდარი გოგო იყო, ასე ოცდარი წლის. სახეზე იმდენი რაღაც ვეა, ვერ გავარჩიე ძალიან მახინჯი იყო თუ არა, ამიტომ ვალერის ვანიშნე, ნავა რა-მეთი.

ვალერიმ თავის მეგობრად წარმადადნა და კოქსს უთხრა, ესენი დეტოყოთ, გურამის რაღაც საქმე აქვს და მარტე ლაპარაკი უნდაო. კოქლი ნესის მიუბრუნდა და რამდენ ხანში დაკარუნდეთ, ჰკითხა. ნესიმ მე შემომხედა და მხრები აიჭია.

— ერთ-ორ საათში, რა! — ვთქვი და ვალერის შევხედე, რომელიც უკვე კარბეში იდგა.

— მანქანა დაეაყენებ და ამოვალ! — მოხრა და გვიდა. როცა ვალერი დაბრუნდა, ნესის უკვე კარგად ეცნობდი და ახლა მე დავკლოდე. გამოვიდნენ და ჩემზე ჰკითხა ქალს, შა, როგორი მსაკაცი მყავსო. ნესიმ, ძალიან კარგაო. შენ ყველაზე





ვერე ამბობო, გავეცინა ვალერის. აბა, მაშინ რაღას მეკითხებო, გავეცინა ნებისაც და ყავის მოსადღებლად გავიდა.

- ვალე, ის კოჭლი ვინ იყო?
- ა, ერთია, რა! ნესი ნინაზავს.
- ქმარი ხომ არ არის?
- რაეი, შემოღება. ამბობს არაო. მაგასთან პრობლე-  
მები არ არის. ისე, მოგვწონა?
- ლაბანკაა, მაგრამ გაჭირ...

ნესი შემოვიდა.

- ნესი, მუშაობ კიდევ?
- კი, ღამის სმენა ვარ.
- ისევე იქა ხარ?
- არა, იქედან წამოვედი. აქვე ვარ, მეტროსთან.
- სხვაგან გადასვლას ხომ არ აპირებ?
- ბინიდან?
- ხო!

— ჯერ არა მგონია, ხაზვიკასთან პრობლემები არა  
მაქვს, თუ მეზობლებმა არ მიჩივილეს.

- მეზობლებს რა უნდათ?
- მაინც, ხომ იცი, ბოჭბი რომ მოდიან.
- იცოდე, თუ სადმე გადახვედი, დამირეკე! ჩემი  
ნომერი ხო გინერია?
- კი.
- ჰოდა, დამირეკე.
- კი, დადგირეკავ, მაგრამ არა მგონია ჯერ-ჯერობით  
სადმე წავიდე.
- აი, გურამასაც მაგრამ მოენონე და ეგეც მოვა  
ხოლმე.

— მართლა? სასიამოვნოა.

ნამოსმელისას ორი ღამის ესხმა ვალერიმ, ბენჭინს  
ჩაგასხამო და წამოვედით.

— ეგერე ორ-ორი ღამობით, კვი ასი ღამი მაქვს  
გამორთმეული. და კი არ მთხოვს ხოლმე, შტერი გოგოა  
მაგარი, მარა, ისე ალაღია, ეგ ჩემისა! ხო ეგეთი ნაკლაა,  
მარა, ალაღია... არც ფულს იღებს, არაფერი.

— რა არ იღებს, კარგი, რა! აბა, ასლარიანი მიეცი, თუ  
არ აიღებს!

— ესლა, ასლარიანი არ ეიცი, მარა ბევრს  
შეუთავაზებია ფული და არ იღებს, არ მინდაო.

- საჩუქრებს?
- სა-ჩუქ-რებს... რა-ეი, აბა! ალბათ! მე ერთხელ სამ-  
ღარიანი დღეი მივუტანე და ისე გაუხარდა, თითქოს  
ღიორი იყოო. მერე, ის სამი ღარი ისე უკან წავართვი,  
მარა სულ იმას ამბობს, შენ რო დღეი მომიტანე და შენ რო  
ღეი მომიტანეო.

- ბიჭო, ეგ ცოტას ხომ არ უბერავს?
- რა ვიცი... აბა! რამე შეატყვე?
- არა, არაფერი. ისე მაგარი ბანძია. ამდენი კაცი თუ  
ჰყავს, რამე ვერ ისწავლა? — მძორივით ეგდო.
- ხო, ეგეთია! მეც ვერ ვიგებ, როდის ათავეებს ხოლმე.
- პატარა გოგოა და უაქვ გასეთი გაბანძუებული. ეგ  
ვერც ეათხოვდება.

— რა ვერ გათხოვდება, ირაკლას ნათესაეი როა,  
სოფლელი როა, ხეიჩა...

- ჰო!
- ეგ ხეიჩა გვყავდა მაგასთან, დაგაეკაცა და იმ

დებილს არ შეუყვარდა, ტო? ატეხილი იყო ცოლად უნდა  
მოეყვანიო.

— მერე?

— რა მერე? კიდევ კვი, ნესიმ თვითონ უთხრა უარი,  
თორე ის მაგრამ იყო გაგოგებულ.

— ჰო, რა! მაგას ეგეთი გომი ვინმე თუ მოიყვანს!

მერე, მერე დღეს არა და, შესაბამე დღეს, მარტომ  
მივაკითხე ნესის. კოჭლი სახლში არ იყო და თვითონვე

გამილო კარი. რომ დამინახა, გაგებარდა. საჭმელს ჭამდა,  
შემწეარ კარტოფილს და მიმიპატივა. კი მშიოდა, მაგრამ

მაგასთან რა შემაქმევდა და ისე დაუუჯექი მაგდასთან.

ის დინჯად და აუჩქარებლად ჭამდა, თან რაღაც მელო-  
დაის ღიღინებდა და ფანჯრიდან იყურებოდა. მაგდაზე

გადავიხარე ნელის ასაღებად, ტავას გამოვედე და ძირს  
გადმოვაგდე. კარტოფილი დაინა. ნესი დაიხარა, ხელით

აკრიო, თუფშუ დაილაგა და ჭამა განაგრძო. მე უცხად  
შემჯავრდა ის და გინება დაუფუცე. ნესის ხმა არ ამოუღია,

ჩუმად მორჩა ჭამას, ჭუმადვე ალაგა და გვერდით  
ოთახში გავიდა. რაკი გამოსვლა დაავანინა, შევაკითხე.

ის იატაკზე იჯდა და რადიოს უსწენდა.

წინააღმდეგობა არ გაუწევია, როცა გახდა დაეუნყე,  
მაგრამ უკანასკნელ წამს გამომცვალა და ვიბანებე და

შემოვამო, მიიხრა. არ გინდა ბანაობა, იყავი ეგეთივე  
ჭუჭუჩიანი, როგორც ხარ-მეთქი. მან კი, მხრები აიჩქრა და

უბრალოდ, ბენაობის მერე ქალმწიფივით ვარო, თქვა და  
დაბნინდა. მე ვერაფერი გავიცე და გადავანეკი. მომიგრენა,

რომ ისევე ღიღინებდა, როგორც ჭამისას, მაგრამ  
აღარაფერი ვუთხარო.

როცა გაევიღეძე, თმას იმზარებდა. ასე, დაუნატავი  
უფრო კარგი შესახედავი იყო. ტუჩები ეკრტებივით

ფერმკრთალი ჰქონია, თვალები კი — ნაცრისფერი.  
ნაბანავეები უფრო პატარა გოგოს ჰგავდა და ისევე მომინ-  
და. ამერევე მოვეფერე.

— რატომ ხარ ასეთი ჩათლახი? — ვერწურულებოდი  
და ვსუნავდი.

— არა ვარ ჩათლახი, ასეთი ვარ! — ამბობდა და  
თვალები ებლიტებოდა.

— ჩათლახი ხარ, ჩათლახი! მეტიც, საშინელი ჩათლახი  
და დაშალი ხარ, ფულს რომ არ იღებ და ასე, უფასოდ

რომ აძლევ ყველას!

— არა ვარ, არა ვარ ჩათლახი, ასეთი ვარ!

უცხად, რაღაცნაირად შემეცოდა და თან შემჭულდა,  
რომ მართლა ასეთი იყო და მოყვრებას შევეშვი და

ხალაი გავხადე. მართლა ქალიმწიფივით იყო, უსისხლო  
ქალიმწიფივით.

— ბო ქეჩი, გოგო, შაბის აბაზანები მიიღე-მეთქი,  
ეკითხე, მან კი უცხად მოინყნა და თვალები დახუჭა.

მივხედი, ძინებოდა და შევეშვი.

სანამ ეძინა, მოკლადი და კონია ამოვიტანე და ერთ  
ფილმსაც ვუყურე. რაღაცნაირი მწიფი ძილი ჰქონდა,  
ღლილიანი და რომ ვაკვირდებოდი, მეც შეღმებოდა. მივლი  
სამი საათი ეძინა, ბოლოს დაეღალა და გაჯავდევი. საწოლში  
მივუტანე ყავა და მოკლადი, ვიფერე ესამოინება-მეთქი,  
მაგრამ რეკავია არ ჰქონია, ჩვეულებრივად მილო.

- კონიაკი ამოვიტანე, დავლიოთ!
- მე არა ესეა!



— აბა, ტყუილად ამოვიტანე? დალევ!  
— კარგი, დალევ, მაგრამ შეიძლება ცუდად გავხედო და ვარწყიო!

აღვა; კარტოფილს წვავდა, როცა ქვევიდან დაუძახეს. ვიღაც ორი ბიჭი იყო. ნესი ჩავიდა. ზვიდან ვუსურბდით, რალაცვები უთხრეს, მერე ჩხუბი დაუნყეს და თან ზვეთი იყურებოდნენ. მე ერთი გემრიელად გადავფუფუნო და თავი შემოვყავი.

კარტოფილი შეინვა, დაინვა, ნესი მაინც არ ჩანდა. გადავიბედე და აღარც ბიჭები იყვნენ, აღარც მანქანა. დაბლა ჩავიბრძინე — ნესი აღარსად იყო.

— მატკი, ნაყვა, ეგ ჩათლახი, დავასკვენი და ამოვტრიალდი.

სამინლად შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს, დამცირებულად, ასე რომ მიმეჭყენე. რა უნდა მექნა?

ერთი პირობა, მთელი სახლი გადავატრიალე, იქნებ რამე ძვირფასი ვიპოვო—მეთქი — არაფერი იყო. მერე ვიფიქრე, კარს დავეუქტავე და გასაღებს წავეღებ, გარეთ დავტოვებ ამ სიციფიშო-მეთქი და ასეც ვაპირებდი მოქცევას, რამ კოჭლი მოვიდა.

— განარჯობა, ნესი არ არის? — მკითხა, საშხარეულში შევიდა, ჩემი შესაჭმელი კარტოფილი შეჭამა, ჩემი მოტანილი კონიაკი დალია და მოკოლადიც ზედ დააყოლა. ამან სულ მთლად გამაცოფა და შარის მოდებდა დავუნეცე, მაგრამ ის ძალიან მშვიდად მხასუბობდა; მერე გვერდით ოთახში შევარდა, მინვა და მიიძინა.

ერთი საათიც ველოდე ნესის და ნამოვედი. სამ დღეში, ისევ მივაკითხე. არ დაუშავლავს იმ ბიჭებს რატომიც ნაწყვა: — რა ეჭმა, ძალიან მიზოვდნენ და უფრო ევლარ ვუღებარი, თან ვიფიქრე, შენ მაინც ალბათ აღარ გენდამოშობოდა.

მე გავიცეცხლდი. თავს ასე რომ ისანყლებდა, ამან უფრო გამაპარაზა და გინება დაეუნეცე. ის არ მეპასუხებოდა და ამაზე სულ მთლად გადავირიე და გავარტყი. ტირილი დაიწყო და სააბაზანოში შევარდა. ნახევარ საათში გამოვიდნ და ბოდიში მომიხიბა; ნაბანავები ქალმშვილივით იყო.

- რატომ იკეთებ შაბის აბაზანებს, არ გეზარება?
- არ ვიკეთებ, უზარალოდ, ბანაობის მერე ვგრე ვარ!
- ბოზი ხარ!
- არა, არა ვარ ბოზი, ასეთი ვარ.

ასეთი თხოვნით მიმართა მწერალმა სასამართლოს. ამერიკელი კლასიკოსის ერთგულმა თავყინისმცემელმა თავს იდო დაიერა გაგრელება ამ თავისებურად საკლუბო ნიგნას, რომელზეც მთელი თაობა გაიზარდა. მაგრამ ასეთმა მხრუნელობამ სელინჯერი აღმოყოფა და მან სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, რომ მის ლიტერატურულ მიმდევარს შეედ მწერალს ფრედრიკ კოლტინეს (ფსევდონიმი: ჟონ დევიდ კალოფორნი) აუკრძალოს გამოსვლა ახალი რომანი, მს წლის შემდგომი გარღვევა ქუაის ყანაში, რომელსაც შეედმურ გამოქვეყნობას ამ შემოღვითი უნდა ნარმოედგინა.





ოქტაი ქაზუმოვი

# „კიდევაცვილ ზეცის ტილოზე“

მორგბი კეკელიძის  
ორი ლექსის ბავშვ

...ფრთავამოსხმული სოფელ და სოფელ ფოთლები დილით — როცა ვილოცე; ხაზავდა ქარის უმკაცრეს პროფილს, კიდევაცვილ ზეცის ტილოზე.

შესაძლოა მკითხველს ეოცოს ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებების, შემზადების გარეშე, უცერემონიოდ რომ შევავებე ამონარიდი გიორგი კეკელიძის ლექსიდან „შემოდგომა სახლისა ჩემის“, მაგრამ საქმედ სწორედ ესაა — ლექსი ხომ თავად ქმნის ყოველგვარ ცერემონიას თუ განწყობას (ოღონდ პოეტურს, რა თქმა უნდა), თავად ჰკვიტის, ხატავს და აედრებებს სახეთა, ხაზთა და მელოდიათა ნარჩევარობას. მამ რა სიტყვა უნდა იყოს ისეთი აღმატებული, რომ წინ ნარჩემძღვაროს მას?

მამსადადე: —

...ფრთავამოსხმული სოფელ და სოფელ ფოთლები დილით — როცა ვილოცე; ხაზავდა ქარის უმკაცრეს პროფილს, კიდევაცვილ ზეცის ტილოზე.

აღბათ, პოეზიად ეს არის — არა გაქვავებულ, არამედ მარადვცავლებად, დინამიკურ სახე-ხატთა ნაშიერი ერთობა, დამლა და ისევე გაერთიანება. ოღონდ ყოველგვარზე სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა ფორმით, თუმცა ღირებულიად.

თუ როგორ არის ყოველივე ეს ამ ლექსში ამოკითხული, შევეცდები თანმიმდევრულად აგვსნათ, ოღონდაც რომ თანმიმდევრულად, რადგანაც რაკი აზრი წინადადების ბოლოს სრულდება (ან სულაც არ სრულდება), ამიტომ ჩვენც ბოლოდან ავიწყებთ.

ე.ი. „კიდევაცვილ ზეცის ტილოზე“ — ადამიანი მთელი თავისი დედადამოსწრება ზეცისკენა თვალაპრობილი. ზეცა მას იღუმბალებს, ამაღლებულს, მშვენიერს, უსაზღოვრებს, სინმინდის და შემეცნების წყაროდ ესახება. მაგრამ ამ ლექსში ყველაფერ ამისგან დაეცლილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცად-ციორი ზეცა ვაკვებს, რომელიც სუფთა ტილოა, რაც ერთი მხებეებით მტკად ბანალურად მოგვეჩვენებოდა, რომ არა ზედსართავი „კიდევაცვილ“ — აი, ეს კი უკვე სახეა, რადგან შემოქმედებას მოასწავებს, ჩვენთვის ცის ზოგადობას ხელშესახებს ხდის.

ტილოს ხსენებაზე ერთი ანეკდოტისმაგვარი რამ მახსენდება: მხატვარი ეუბნება მასთან მისულ მეგობარს, რომ დღეს გენიალური ძროხა დახატა და თან კვდელზე გაურულ ტილოზე მიანიშნებს.

— კი მაგრამ სად არის ძროხა? — ეკითხება განცვიფრებული მეგობარი.

— გადამიახას და ნაეიდაო, — ვასუბობს მხატვარი.

ე.ი. გამოდის, რომ ხელოვნება იწყება მამინ, როცა იგი ქმნის სათანადო „ტილოს“ (ნიადაგს) იმისათვის, რათა მისგანვე აღძრული ჩვენშიერი წარმოდგენები განვთავსოთ მასზე. მამსადადე, ეს ცა გამალიზიანებლად უსასრულო კი არ არის, არამედ შემოქმედებითაა დასაზღვრული და, ამდენად, ჩვენი წარმოდგენები ზემოთა სტრიქონში ნახსენებ ქარს კი არ მიჰყვება კვალდაკვალ სადაცა შორეთში, არამედ „კიდევაცვილ ზეცის ტილოზე“ მის ნაირგვარ თვითგამოვლენას ადევნებს თვალყურს. ე.ი. ნაშიერად უსაზღვრო დასაზღვრა, თავისი თავის მხოლოდ ქროლვით (დინამიკაში) გამოვლენი ქარი თვითზე მის ნაირგვარ არკი ჩამდგარა — შემოქმედებით ძალად მოგვევლინა.

არ დაგვავინყდეს, რომ ლექსში შემოვლენა დგას, ბუნება თავისი ნაირფერობის ამოკვამია და ფერთა დაუსაზღვრავი ფერადობით დღვის. უფერული ქარი კი ვითარცა ამღვრეაბრებული სული სოფელ და სოფელ ეძებს, ირჩევს და იფერებს ნითელ-ყვითელ ფოთლებს, ფრთას უბამს მათ და ისე აიქვს ზეცის ტილოზე საკუთარი პროფილის კონტურების დასახაზავად. თუმცადა ეს კონტურები ამთავითვე დაუსრულებელია ე.ი. მარადქმნადობა, ვერასოდეს რომ ვერა ამოწურავს საკუთარ თავს; — ჩადგება ქარი, დასრულებდა პროცესს და არა ხატკ.

ამ სტროფში კიდევ ერთი საყურადღებო სიტყვაა, რომელიც ლექსის ბოლოშიც მეთრდება (ოღონდ იქ სხვას მიემართება), ეს არის „ლოცვა“.

ფრთავამოსხმული სოფელ და სოფელ ფოთლები დილით — როცა ვილოცე;

ლოცვა, როგორც სიმშვიდის მომნიჭებელი და ამავედროულად სულის გამაძლიერებელი ფუნქციონი, აქ ისეთი მოვლენების თვასათვად გვევლენება, რომელთაც სულის მშვიდად სუფევასთან არავითარი კავშირი არა აქვს. პირიქით, ლოცვა აქ შემოქმედებით ძალთა მამპროვოცირებელია და აღბათ ბუნება სინამდვილეში მხოლოდ ამ ძალების გამოხატვის ემსახურება. თითქოს პოეტმა ლოცვით თავის სულიერი დრტენივები ზეცის, ქარის, ფოთლების სახით გამოისაგნა და მათი ურთიერთქმედებით მიღებულ სურათს მის შინაგან და მრავალსახოვან „მეს“ გამოსახავს; „მრავალსახოვანს“ იმიტომ, რომ ეს „მე“ ჯერ არ ჩამოყალიბებულია და ზოგად კონტურებში გვეჩვენება, ისევე, როგორც ლექსისული „ქარის პროფილი“.

ზემოთ კი ვთქვი, რომ ამ ლექსში ცა ყოველგვარი სამკალის და ასევე მასთან დაკავშირებული ტრადიციული გაზრების გარეშე წარმოიქმნება, მაგრამ ლოცვა, როგორც აღმშვენიებით ძალა, ისევე ცას მიემართება და, შესაბამისად, მას უშთავებს თვისებას — სინმინდეს უნარსუნებს.

სავსებისხმა, რომ ეს ლექსი სამწერტლით იწყება და ბოლოს სამწერტლითვე სრულდება, რაც ამ ამბის ყოველდღიურ განმეორებადობას გულისხმობს, ე.ი. ყოველ-



დღე შემოქმედებითი ღწვა. მერე ამას რა სჯობსო, ვიკითხავთ ჩვენ. თუმცა პოეტი ცოტა სხვაგვარად ფიქრობს:

**დამძიმდა სული ერთით და იცივ, როგორც სიბნელით შორი ოდები, თვალის დაბნარულ დიხშაშის მიჯავს, ძილს ალიონზე თუ ვეცოდები.**

ფიქრობ, აქ აზრი იმდენად ნათელია, რომ განმარტების არ საჭიროებს. რაც შეეხება ბოლო სტრიქონს, იგი ეკავილადეული დასაწყისია, ბოლოში სამი ნერტილით, რითაც ასე ვთქვათ, ესტაფეტა სხვისთვისაა გადაცემული:

**და ფრთასხმული სოფელ და სოფელ ფოთლები დილით — მენ რომ ილოცებს; დახანჯეს ქარის უმკარესი პროფილს, კიდაეკვილ ზეცის ტილოზე...**

დახ, ხელოვნება ჯადოსნურობის, უფრო სწორად, მისტიკის გარეშე წარმოუდგენელია და, თუ გნებავთ, როგორც პოლტონის ამბოხს: „პოეზია ღალი დევისისაზურება“.

რა თქმა უნდა, აქ პოეტის არსზე შევჯელობას არ შეუდგებით იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ პოეტის რაობა ალბათ იმდენგვარად გაიაზრება, რამდენი დამიანიც არ სებაოს ამქვეყნად. მხოლოდ მეტყველებით იმაზე, რომ ხელოვნება და მასში მოაზრებული პოეზიაც დამიანის უშაღვეს შემოქმედთან — ღმერთთან — „ღალ“ შიახლოებას ელსახურება. იმაში ალი ამბობს: მეცნიერება, რომელიც უკეთესს არ გხდის — ახსურდია“. ამ ლოკით ხელოვნება, პოეზია, რომელიც დამიანს, თუნდაც რომ წამიერად, საკუთარ თავში არადადამიანურის დაძლევაში არ დაეხმარება — ახსურდია და მეტი არაფერი.

ძველესეული წარმოდგენების თანახმად, ადამიანი მანამდე ცოცხალი, სანამ იგი ფონეს ახსოვს. ამ შეხედულებამ ააგებინა ფარაონებს ის პირამიდები, რომელთა შეფუთობაც თავიანთი სული გაამარადიოებს, ცოცხლ შემთხვევაში ადამიანთა ცნობიერებაში, და რომელიც თავად ცოცხლობენ „ხელოვნებაში და ხელოვნების გზით“ (გრეცერ ფარულავა). მაშასადამე, ხელოვნება ერთადერთი საშუალებაა, რომლითაც ადამიანს ძალეოს ამქვეყნად ნაწილობრივ მაინც უკვდავოს საკუთარი თავი, ე.ი. სიკვდილს რამდენადმე გაეცეს.

სიკვდილის პერსონიფიკირება ქართული ხალხური ლიტერატურისათვის ერთობ ნაცნობია. ვაჟასთან ხომ საერთოდ სიკვდილის დამამშვენებელია:

**ღმერთმა გიშველოს სიკვდილი სიკვცხლე ხარობს შენითა.**

აქ სიკვდილის ფენომენი სიკვცხლისათვის ფასის შემცენია და, როგორც ყველა ფასეული რამ, ისიც მშენიერიია. სიკვდილისადმი ასეთი მიმართება ოდნე განსხვავდება საღვთო ნიგნთა შეხედულებებისაგან, რომელთა მიხედვითაც, იგი ხან მტრადდა დასახული, ხან კი კარად, — უკეთესი ნომავლისათვის.

გიორგი კეკელიძის ქვემოთ განსახილველი ლექსიც „წიგნი უძლვე შველზე“ საბარებისეული ცნობილი იგავის ახლებურ გარდაქმნაა, რასაც ჩვენთვის ასე ჩანაცვლებით მიაღწია:

თითქოს არასდროს გამეთალოს მზის დარი ლექსი, სიკვდილს თვალდებში ისე ჩახვდე და ვიკანი ჩემი სიკვდილი, ქიშკარს მორცხვად რომ მოსდგომოდა და შიშით ორთოდა

და მე დაველნე ლექსებიდან დანწული ღობე და შემოვიდა ამ ეზოში დაბადებული და გაბედულად მომეხვია მუხზე სიკვდილი... ხოლო სიკვცხლე, უფროსი ძე, სამკველად იყო და შინ მოსვლას არ აპირებდა.


(„წიგნი უძლვე შველზე“, ციკლიდან — „ბიბლიური ოდები“).

შემოქმედებითი უკვდავების ღობეშემორტყმული და ამით ნება-უნებლით სიკვდილის გამორყავი პოეტი უარს ამბობს მარადიულ სიკვცხლებზე (რასაც მონმზის ლექსს ნამძღვარებული ეპიგრავი — „უარის ჰომინ მარადისობას“).

ღობეშემორტყმული სივრცე პოეტური სივრცეა, სადაც კუნძუ ჩამომეჯარი პოეტი ურმის თვლის მაგიერ „მზის დარ ლექსებს“ თლის და, ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი იმ წამს სიკვდილ-სიკვცხლის მიჯნაზე დგას (გვერდებ ვთქვათ, მათუ მაღლა დგასო), რადგან სიკვცხლე — „უფროსი ძე“, — სამკველადა წასული, ხოლო უმცროსი — სიკვდილი — დარცხენილი ნებათვას თითქოს, რათა შემოვიდეს.

და მე დაველნე ლექსებიდან დანწული ღობე“ — ეს საკუთარი სამყაროს გარდევება, მასში სახლის შემოტანა და მისიი გაღწევა სადაცა ახალში. ხოლო სიკვდილი მომანინებლად ეხვევა მუხლებზე, თითქოს პატივება ითხოვს, რომ ხელოვნა მინება. როგორც ვხედავთ, აქ სიკვდილის გმობა, უარყოფა ან თუნდაც ქება კი არა, მისი „გამაშვილური“ შეწყნარების საცაოდ შთამბეჭდავი სურათი გვაქვს დახატული. ხოლო სენკეა ამბობს: „პოეზია მეტყველი შხატკრობაა, ხოლო შხატკრობა — მუნჯი პოეზია“; და მართლაც ასეა — „ნერა“ ნერასაც ნიშნავს და „ხატვასაც“ (ხატუნრა, ფერუნრა...), ორივე ერთად კი ნამდვილი პოეზიაა.

ამიტომ ჩემს ნანერს, გიორგი კეკელიძის ორიოდ ლექსის თობაზე შექმნის, თქვენი ნებათვით უკვე ბოლოში ასე დავასათურებ — „მარადის ხატვა“.



სამშაბათს, 30 ივნისს  
უურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში  
გამართება წარდგინება  
**რუსუდან ნიშინიძის**  
ნიგნისა

**„შხხეფარაპი“**

დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის 41



„კეკელიძის სახლი“ გაიმართა წარდგინება გურამ ოდიშარიას ახალი რომანისა „სათვალისი ბომბი“, რომელიც ეძღვნება ტელეკორპორაციების ცხოვრებას და წვეული ხელეწიერების წარმოსახვას ჩვენს ტრადიციულ რეალობას. შეხვედრის უძველესი და როსტომ ჩხვიძე. მონაწილეობდნენ მწერლები, მსახიობები და ჟურნალისტები: ზაზა აბოშიანი, დიმიტრი ჯაიანი, მერაბ თვაძე, ზურაბ კანდელაკი, დევი ფუტყარაძე, შალვა ბაკურაძე, მანანა დუმბაძე, გიგლა გომეჩია, ჯონი ჯანაშია, მისიელ ბეროშვილი, მაფრი წერეთლიანი, ბადაიონ არაშული. გამომსვლელებმა მიულოცეს ქართულ მწერლობას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რომანის შექმნა და მადლობა გადაუხადეს სერგო აბაშიძეს, ვისი წყალობითაც წინაა ასე მალე იხილა დღის სინათლე.

ამჯერად ვთავაზობთ გვიგ ალბანოშვილის სახელდახელო კრიტიკულ-ესთეტიკურ მონაბაზს, რომელიც საფუძვლად დაედო მის გამოცვლას. ეს რომანი, იმდენად, საკმაო სხვა-ბაას გამოიწვევს ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში და დაე ეს სტაბია იყო ერთდელი და გულდასმითი ანალიზის წინამორბედი.

გივი ალბანოშვილი

# იხედიანი გულის უთქვა

„სათვალისი ბომბი“ — ასე ჰქვია გურამ ოდიშარიას ახალი რომანის. უცნაური რაკურსიდან ხედავს მწერალი ექსტრემალურ მოვლენებს, რითაც ასე მდიდარია ჩვენი — თითქმის ოცნებიანი — დამოუკიდებლობის დაუსახამობა, დღესაც რომ გრძელდება.

როგორც რომანის დასაწყისშივე აღმოვაჩინებ, ავტორი ტელე-ოპერატორის ტყავში შემქმნარა და იქიდან უზურეს მოვლენებს, პარალელურების წინ თუ საავადმყოფოს სიახლოვეს მდებარე ბოსტანში რაც ხდება. გვესმის, როგორ სკანდირებენ ავდიანები „ნაიდი“, „ნაიდი“, „ნაიდი!“ ან როგორ ასაფლავებენ პომიდურის კვლებს შორის ამაუტირებულ კიდურებს, როგორ ჩნდება ბოსტანში მცირე ბორცვები პატარა საფლავებისა და მთხრობელისგან გაგრილი, თუ სულაც წინაში ამოკითხული ფეხვა: „ბოსტნის სიღრმედა ქორუტგი მოაბიჯებს, ხელში იჭრის უჭირავს“ — რაც უსასტიკეს იუმორად აღიქვამება, თუმცა, დაუნდობელი დიმილის იქით, თავის არაა დავიანებით საშინელი ტრავმათა მთელი სიღრმე-სივანით.

აქვე, ასეთი დიალოგი შემოესმება მკითხველს: — ბარი მომიტანე, ორმოცი გავთხაროთ, — კი მაგრამ... — რა, კი მაგრამ? — ვისი ფეხია, ვისი ხელი... — ყველაფერი მახსოვს გვარებით... ბარი მომიტანე“.

როგორც მოგახსენებ, გურამ ოდიშარიამ თხრობის უცნაურ რაკურსს მიაგო, დროებით ან რომანში იქცა ტელეკომპერატორად და მისი თხრობის ტელეგრაფული სტილი და დოკუმენტური ფილმის ზღვარზე არსებობა სრულიად ახალ შესაძლებლობებს აჩვენს მწერლისთვის, შესაბამისად მკითხველისთვისაც.

კადრების შერჩევაც დოკუმენტალისტის სიზუსტით ხერხდება და შერჩევასაც მინებ ქვივის თანაგრძობის თუ თანადგომის განცდა. „ფსიქიატრიულის მეორე სართული. 14—ე მინებამასხვრული ოთახის რკინის ძეღლ საწოლზე, ალბათ, ასე, სამოცდაათი წლის მოზუცი ზის...“



ტანზე საბანი აქვს შემოხვეული, იატაკს ჩამტერები, უფრო ზუსტად, რომელიღაც ნერტილს იატაკზე. მოგვიანებით გვითხრის, რომ ის „თამარ მეფე“ წოდებული ქალი ოცდაათი წელია, ფსიქიატრიულის მკვიდრი ყოფილა“.

დოკუმენტურობა სიმძიმეს და სიმამფრეს მატებს ავტორისეულ თხრობას, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელიც კი არის წერა, რადგან ომის სისასტიკე უმალე ამომვლება ყლბ განცდებს, სიმუღალისა, და ამაკარებებს ყოველგვარ ფიქციას. ომის დადებისას ფსიქიატრიული გაუზიზნებით, მაგრამ მოხუცებული ავადმყოფი თავის ფეხით უკან დაბრუნებულია. როგორც მწერალი-ოპერატორი აღნიშნავს: „ფსიქიატრიულის გარეთ მისთვის ყველანა უცხოეთი იყო. NR — ეს მასალა არ გამოდგება“.

ოპერატორისგან დაუნებელი მასალა იმაზეც მოგვანშნებს, რომ არავის სჯირდება, არავის აინტერესებს ავადმყოფი მოხუცებულის ბედი და უფრო სხვაგვარ ექსტრემუზე უჭირავს თვალთ ტელე—მაყურებელს, ანუ ადამიანებს, რომლებიც გადავიქცნენ ადამიანურ თანაგრძობად და თვალთ გარეშით და გული მოუწევთ მხოლოდ გასართობისკენ, მაშინაც კი, როცა უშიშმეს ცხოვრებას შეუბოჭავს ყველა და არ იცინა, რომელ კედლს მიაწყდნენ, რომელი იმიტნგონ, ვისგან ან რომდემდ მოითხოვონ ელემენტარული სამართალი, როცა ყრუა ან უფრო კი თავის იერუბის ის, ვინც სხვა რეალობაში ცხოვრობს, ან თითქოს ცხოვრობს...“

მწერალი არ განსჯის, რიტორიკაში არ იჭრება, ლოზუნგურ პოლიტიკუბებს თავის არიდებს და ცდილობს სათქმელი ფაქტებით თქვას, არწინოს, განცხადებინოს, რათა სათქმელი ჩვენში განწნდეს სრულიად ბუნებრივად და დოკუმენტურმა სინამდვილემ აღძრას ზან შემწნარებლობა, ხანაც კი სისასტიკის დაძლევის სურვილი, და დავგანახოს ექსტრემალურ ვითარებაში როგორი მობოლიზებული, ყველაფრის ამტანი და დროდადრო რარეგ ინფანტილურები, თავმოუხებლები და საბრალოები არიან ადამიანები.

შემიერი ვარისკაცი ძროხის დაჭერასა და დავკვალზე რომ ოცნებობს, ჩამოაცემებს ავტომატის ღვედს ძროხას, რადგან თოკი არა აქვს, უფრო იოლად რომ დაიჭიროს პირუტყვი, ძროხა კი გასტაცებს ავტომატს და გარბის. ან საინტერესო სანახაუი იქნებოდა ავტომატის ძროხა...“

ეს კადრიც, ერთი შეხედვით დიმილისიმოგვრელი, უდიდეს სატკივარი იტებს და მწერალი არ უხეილყვაობს, დოკუმენტულისტივით უზუსტად და არ განსჯის იმას, რაც დავგანახა როგორც ოპერატორმა.

არ გაპირებ მწერლის მიერ შეგროვილი კადრები გადმოწერო და ვიამოთ, ნიშუმად რამდენიმეც ვიკაოთო,





ლევან ბრეგაძე

# უპის ნიგნაკიდან

## შეხსიერების ძველდება?

ჯულიეტას ძიძა (გამდელი) დიდი ხნის წინანდელ ამბავს იგონებს:

პატარა, 3-4 წლის, ჯულიეტა დაცვა, ცხონებულმა ჩემმა ქმარმა ნამოაყენა და დაუსყვავა:

„პირქვე დავცი?

არაფერია, გაიზრდები, დაქვრივანდები

და შენც გულალამ დავციემი — პირქვე კი არა!“

(შექსპირი, „რომეო და ჯულიეტა“, ვახტანგ ჭელიძის თარგმანი).

ეს ვულგარული ოხუნჯობა, ჩანს, ძალიან ამხი-არულდება მაყურებელს, ვინაიდან რამდენიმე სტრიქონის შემდეგ იგი პიესაში კიდევ ერთხელ გვხვდება.

ამან ერთი თანამედროვე ანტიკლოტი გამახსენა:

პარიზის ბარში ორი კაცი უპის სურვას — ქუდიანი და უქუდიო.

ქუდიანი ამბობს: მე და ჩემი ცოლი ვერ მოვრიგებულვართ. მე მინდა სანოლი ოთახის ჭერი მწვანად შევღებოთ, მას კი დაუტონია, ვარდისფრად აჯღობებსო.

უქუდიო ურჩევს: რაკი შენს ცოლს სანოლი ოთახის ჭერის ყურება შენზე ხშირად მოუნევს, ამიტომ სანართლიანი იქნება მისი სურვილი შესრულდესო.

ბარმენმა, რომელიც ამ საუბარს ისმენდა, დაასკვნა, ეს უქუდიო პროვინციელიაო (ანუ ჩამორჩენილი შეხედულებების მატარებელი კაცი ჩანს, დედაქალაქის მეზობლებს არ ჰგავსო).

უტყობა, შექსპირიც ძველდება... ალაგ-ალაგ.

## პატიოსანი ღამესანი

დათო ნურელიანისაგან ვიცი თამაზ ჩხენკელისეული დახასიათება ერთი მწერლისა: დამსმენი იყო, მაგრამ პატიოსანი დამსმენი — არაფერს უმატებდაო (იგულისხმე-ბა: ნათქვამი ზუსტად მიჰქონდა იქ, სადაც ჯერ არს, თავის მხრივ არაფერს უმატებდა, ფერებს არ ამუქებდა).

•••

რადიო „იმედზე“ (01. 02. 2007), გადაცემაში „ინტერ-ყო უპირად საკითხებზე“, არაჩვეულებრივად ილაპარაკა ნინო დარასელმა თავის თავზე, თავისიანებზე, თავის

საკმეზე... ძალიან მინდა მამარქმს, ზაზა დარასელს, ვგადედო, ლიბოლიც მისნაირი მქონდესო.

ზაზას მართლა არაჩვეულებრივი ლიბილი ჰქონდა, საყვარელი ადამიანი იყო.

ზაზასგან სახსოვრად დამჩრია ერთი გამოთქმა: „ეგრე გეგროსი“ ერთხელ, კათხა ლუდზე, ამ მრავლისმე-ტყველი გამოთქმის ღირსებებზე მეღაპარაკა. მისგან „ნაჩუქარი“ ეს გამოთქმა გამოვიყენე გერმანული პოეტის გაოკინგის ერთი ეპიგრამის თარგმანში, ძალიან მოუხდა:

მასზე ამბობენ: „გიჟი არის, ჭკვასკადასული!“ — მტერს, მოსისხლე მტერს მიათხოვა რადგან ასული. ეგრე გეგროსო!  
აი ნახავთ, გიჟი თუ არის: ვერ მოიფიქრებს კაცი მტრისთვის სასჯელს უარესს.

## რაკორდი

მაშინაც თურმე აგვისტო იდგა, თვე საყვარელი, თბილი, როს დამეზობლდა ეს სამი სიტყვა: გული, კოლეჯა, შვილი.

ასეთი ზმა ვუძღვენი ჩემს მეუღლეს, გულიკო ლევამშელს, აგვისტოში დაბადებულს, როცა 35 წლის გახდა (1985 წ.). გაცოცდა: არ შემიმწნევია, ჩემი სახელისა და გვარის შესაყართან „კოლეჯა“ თუ იკითხებოდაო.

ეს შევიდმარცვლიანი ზმა სარეკორდო იყო, ვიდრე ნინო დაბაბიანისელი აღექსანდრე გვახარას (აღმოსავლეთ-მცოდნის, „ვისრამიანის“ მკვლევარის) გარდაცვალების გამო დანერღულ ლექსში ორ ცხრამარცვლიან ზმას შექმნიდა: „არაა მინდა არავისი“ (არა რამინ და არა ვისი) და „არაა მევისრამიანება“ (რალა მე, ვის რა მინება).

## მავალი თოდუას მონათხროვი

„არმადანის“ მომზადებისას ხშირად ვხვდებოდი გიორგი ახვლედიანს. ერთხელაც ვუთხარი: აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ რამდენჯერაც უნდა წავიკითხო, არ მწყინდება-მეთქი.

— მაჯაზე ხელი მომკიდა და მითხრა:

— ბედნიერი კაცი ყოფილხარ! მე ვერ ვკითხულობო.

გაოცება რომ შემატყო, დასძინა:

— მეტყობოდა და ნენვა მიწვესო.

•••

თბილისში სტუმრად მყოფმა რუსმა კოლეგებმა უთხრეს გურამ ასათიანს, ქართველებს რა გაქვთ სასაყვედურო, მშვენივრად ცხოვრობთ!

გურამ ასათიანის პასუხი:

— სასაყვედურო რა გვაქვს, მაშინ მიხვდებოდით, მოსკოვში დავცულ დისერტაციას პეკინში რომ გიმტ-კიცებდნენო.



ნიკა აგიაშვილისგან გამიგია:  
გიორგი ლეონიძე, სარკვეში რომ ჩაიხედავდა,  
თავისთვის წაიღიღინებდა: „ლეონიძე, კობტა ბიჭო, შენ  
გენაცვალეო!“

დააკვირდით: ეს ფრაზა იმავე მარცვლებით იწყება,  
რითაც მთავრდება, რაც აკურპეტუფმომილეს\* ჩართვის  
შესაძლებლობას იძლევა:

ლეონიძე, კობტა ბიჭო, შენ გენაცვალეონიძე, კობტა  
ბიჭო, შენ გენაცვალეონიძე, კობტა ბიჭო, შენ გენაცვალეო...  
და ასე დაუსრულებლად.

შდრ. ვანტანგ ჯავახიძის მიერ ავტებული მსგავსი  
მეკანონიზმი:

„ორიგინალურ ლექსებს წერს ბევრი ნოვატორიგი-  
ნალურ ლექსებს წერს ბევრი ნოვატორიგინალურ ლექსებს  
წერს ბევრი ნოვატორი“... და ასე დაუსრულებლად.

**სასიათავე**

სუფრას ორი კაცი უზის. ერთი ლაპარაკობს განუ-  
წყვეტლივ. მეორე უხმოდ სვამს. ვინც ლაპარაკობს, იმას  
ლაპარაკის საღერდელი აქვს აშლილი და მსმენელი უნდა,  
მეორეს კი სმა უნდა და ამისთვის თანამეინახე ესაჭი-  
როვდა. უცებ ეს მფლმარე წამოდგება და ამბობს ღირსშე-  
სანიშნავ ფრაზას:

— შენ არ გაჩერდე, ილაპარაკე და მე ახლავ მოვალ!  
(მოგვითხრო რევაზ სირაძემ, 2007 წლის 12 სექტემ-  
ბერს საგურამოში).

**ნიგნი და ღვინო**

იმედო მდივანს ხელში უჭირავს ღვინოთი სავსე ჭიქა და  
ამბობს სადღერძელს:

„ერთი კარგი ქართულის მასწავლებელი მყავდა,  
ხშირად გვეუბნებოდა, ნიგნი ქულის სალესავიოა. ესეც  
ქულის სალესავია“, — ოდნავ მაღლა წვეს ღვინოან ჭიქას,  
— „ამის დამყენებელს გაუმარჯოს“.

**სტილისტიკური თანხლები**

„ბიჭებს ძალი გაეცვა“ და „ბიჭებს ძალი გაეცვათ“  
სხვადასხვა რამეა?

**ნაღვლიანი კალაგზური**

ვებრდებით და ვბარდებით [უფასლ].

**მისი უშიგდესოგის იუმორი**

მის უშიგდესობას აქვს ფარული, მსუბუქი, დახვეწილი  
იუმორი. ერთი ნიმუში:

შეკარდნადის ძალადობრივი გადაყენების მეორე თუ  
მესამე დღეს იგი სანუგუმებლად ენვია ყოფილ პრეზი-  
დენტს კონადინის რეზიდენციაში, თან საჩუქარიც  
მიართავა — ვერცხლის სასმისი [ჩვენ ამას ტელევიზიით  
ვადგენდებით თვალს]. გაუნოდა ეს სასმისი და უთხრა:

— ამა შენ ვერცხლის სასმისი. დალიე ამით...

და აქ მისმა უშიგდესობამ ხანგრძლივი პაუზა გააკეთა,  
რის შემდეგ ღიმილით ასე დაამთავრა ფრაზა:

— ...ღვინო!

ანუ მან დასახელა სახმელი, რომელსაც შეკარდნადე  
არ ეტანება, და დელიკატურად აუარა გვერდი ჩაის,  
რომელიც შეკარდნადეს უყვარს და რომლის შესმა არ  
აცალა მას პარლამენტის შენობაში შეჭრილმა  
სააკაუმელომა — თვითონ დალია დემონსტრაციულად  
სხდომათა დარბაზიდან შეკარდნადის გაძევების შემდეგ.

**მუხრან მაჭავარიანის მესხიარება**

24 მაისს (2006 წ.) გამოცემილია „ინტელექტი“  
შეხვედრა მოწვეუ მუხრან მაჭავარიანთან მისი „ასი ლექ-  
სის“ გამოცემის გამო. სიტყვებით გამოიხდებოდა გამოცემ-  
ლობის დირექტორი კამბეგ კუდავა, „ასი ლექსის“  
შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი იოსებ  
ჭუმბურიძე (მას მოჰყავდა შეხვედრა), თინათინ ელბაძე,  
გიორგი გოგოლაშვილი, მურმან ჯინორია და მე.

მურმან ჯინორიამ გაიხსენა, რა გულთბილად  
მისაღმებია ერთხელ მუხრანი მას სასაუბრეში, თუმცა  
პირადად არ იცნობდა. ბატონმა მუხრანმა თავი დაუქნია  
და თქვა — მახსოვსო. მურმანმა მეორე შემთხვევაც  
გაიხსენა: თქვენ გაჩერებულ მანქანაში იჯებით, მე ამ  
დროს ჩემი მანქანისკენ მივდიოდი, შემამჩნიეთ და  
მამინაც გულითადად მომესალმეთო. მუხრანმა ამჯერ-  
ადაც დაუღასტურა — მახსოვსო.

ამის შემდეგ მე გამოვედი და სიტყვა ასე დაეწიე: ეჭვიც  
არ მეგარება, რომ ბატონ მუხრანს ემხსოვრება, რაც ახლა  
მურმან ჯინორიამ გვიამბო-მეთქი, და მეც გავისინე:

ჩემს 7 წლის გიორგისთან ერთად ქუჩაში მივდიოდი.  
მუხრანი გამოჩნდა, ჩვენ შემხვედრად მოემართებოდა. იმ  
დროს მას პირადად არ ვიცნობდი. გიორგისკენ დავიხარე  
და ყურში ჩაეჭურჩულე, აი ის კაცი მუხრან მაჭავარიანი-  
მეთქი (მუხრან მაჭავარიანი ვინ იყო, გიორგიმ იცოდა,  
მისი ლექსებიც იცოდა).

ამის შემდეგ წლები გავიდა. უკვე ახლო ურთიერთობა  
მქონდა ბატონ მუხრანთან. ერთ დღეს სუფრაზე  
სადღერძელოში შეუბნება: შენ ერთხელ შენს ვაფთხად  
ერთად ქუჩაში შემხვდი, დაიხარე და მას ყურში  
ჩასწურწულე — ეს კაცი მუხრან მაჭავარიანიაო.

**არსუმიტო მათი სასარგებლოდ, ვინც რუსული  
სახელაუბის გააართულანს წინააღმდეგობა**

ახლა ბევრი მოითხოვს ვეროთი მიხაილ და არა მიხ-  
ეილ ლერმონტოვი, ვლადიმირ და არა ვლადიმერ  
მაიაკოვსკი, ფიოდორ და არა თედორე დოსტოევსკი და



ა.შ., ზოგი კი ვერ ელევა რუსული სახელების გაქართულების ტრადიციას.

ერთი ვიკირამა ეთარგმნე XIX საუკუნის რუსი პოეტის მიხაილ მიხაილოვისა და... როგორ დამეწერა მისი სახელი და გვარი? გვარს ხომ ვერ გავაქართულებდი, ანუ მიხეილ მიხეილოვის ხომ ვერ დავწერდი, — მიხეილ მიხაილოვი კი კურიოზულად ვლერს! ამიტომ — მიხაილ!

ასევე კურიოზულად აქედრდება ვლადიმერ ვლადიმეროვი, თევდორე ფიოდოროვი და სხვ. და სხვ.



მაშაქემის ჩანაწერებში წავანვიდ ამ ანექლოტს:

„გამოცდიდან გამოსული სტუდენტი თავის გულშემოცტიკერებს შესწავის:

— ოთხი შეითხვიდან სამს სწორად ვუპასუხე და მიიწე ორიალი დამინერეს.

— რა უსამართლობაა! — აღმფოთდნენ მეგობრები.

— პირველი შეკითხვა იყო: რას გვასწავლის პარტია? მე ვუპასუხე: რასაც სტალინი გვასწავლიდა. მერე მკითხეს: რას გვასწავლიდა სტალინი? მე ვუპასუხე: რასაც ლენინი გვასწავლიდა. მერე მკითხეს: რას გვასწავლიდა ლენინი? მე ვუპასუხე: რასაც მარქსი გვასწავლიდა. მერე მკითხეს: რას გვასწავლიდა მარქსი?

მარტო ამ ერთ შეკითხვას ვერ გავეცი პასუხი და ორიანი მგლიჯეს იმ დამბლებმა!

გამახსენდა, სახეგაბრწყინებელი რომ გვიყვებოდა დილით მამა წინა დღეს გავგონილ ამ ნაკვესს. ეს ანექლოტი მეტად აღარ მომიხმენია. არადა... კარგია!

„რასაცა გაცემ...“

პარადოქსული სიბრძნის ერთ უცხოურ ლექსიკონში რუსთველის ცნობილი აფორიზმის „რასაცა გაცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ ვარიაციები აღმოვაჩინე, რომლებიც, ვფიქრობ, მოგვეხმარება რუსთველის ამ გამონათქვამის უკეთ გავგებაში, და ვინდლო მის მართებულბაშიც დაგვარწმუნოს.

ერთი ეს:

„შოლოდ იმას ვერ დაკარგავ, რაც გააჩუქე“ (პანს ლობერგერი), და მეორე:

„ყველაფერი შეიძლება წამართვან, გარდა იმისა, რასაც გაცემ“ (ჰერბერტ აიზენრაიხი).

და თუ მაინც გავუგებარი დარჩა, რა სარგებელი მოაქვს გაცემა-გაჩუქებას, იმავე ლექსიკონიდან ერთ პორტუგალიურ ანდაზასაც მოვიმელოებ, რომელიც, ვფიქრობ, საბოლოდ მოაძენს ნათელს ამ საიდუმლოს:

„ნაყიდი უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ნაჩუქარი“.

დაუძინებარი სახელწავი

ვახტანგ დავითაია

“ამილახვარს სასლმმართველოგაში რა უნდა, გატონო”

მოქმედი პირნი:

ნოდარი — ნოდარ დუმბაძე — მწერალი  
ოლია — ანზორ ხალუცაძე — პოეტი, სცენარისტი  
კვილა — ვიკტორ ტორცხალავა — მოქანდაკე, კაროკატორ-ისტრი

ნანული — ნანული გუგუჩავა, ნოდარის მუფულე  
ლუონა — ლუონა ნაკაშიძე, ანზორის მუფულე  
ნათლა — ნათლა გაჩეჩილაძე, ჭეშ მუფულე

მოქმედება მომდინარეობს თბილისში, ვახტანგ დავითაიას სახელობისში, 1975 წლის ივლისში.

1971 წლის იანვარში, ბატონი ივანე ჩხენკელის, ამ შესანიშნავი პროფესიონალისა და პიროვნების, იმჟამად საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის და თბილისის მთავარი არქიტექტორის, დიდი მცდელობით მომუქმედებითი სახელოსნო მივიღე. ცოტა ადრე ამ

სახლის VII სართულზე ბინა დაიდო ნოდარ დუმბაძის ოჯახმა, ჩვენ შოლოდ სამი სართული გვაშორებდა. ჩემს სახელოსნოს ერთ მხარეს საერთო კედელი აქვს ლეონას სახელოსნოსთან, ის ოჯახთან ერთად ცხოვრობს აქ, ხოლო მეორე მხარეს გიგლა ფირცხალავასთან. ქვედა სართულზე გოგი თოფაძის ოჯახი ცხოვრობს უადრესდა სათნო მშობლებთან ერთად. გოგი თავანყვეტილი მონადირე იყო, მეზობლებსაც ხშირად მოვკიკითხავდა, ხან ნანადირვე ფრინველს, ხანაც ტახის ხორცს, რომელიც ჩვენი ერთობლივი შეკრების კიდევ ერთი საბაბი ხდებოდა ხოლმე.

ხშირად მიწევდა ბაკურიანში ასვლა „მზიური ეკლის“ მშენებლობაზე საავტორო ზედამხედველობისთვის. 1975 წლის ივლისში ორდღიანი მივლინებიდან დაბრუნებულს სახელოსნოს კარებზე, ღრიჭომი ჩახტენილი, რამდენიმეც იატაკზე მოყრილი, წერილები დამხვდა. აეკრიბე და დავიწყე კითხვა, მათ სიჭქარის კვალი ეტყობოდა, უშეტესად გავხარის ნაგლეჯებზე და სასურსათო მალაზიის უხემ ქალაღზე იყო დაწერილი.

„ვიყავი ორჯერ, ასე უნდა? სევტა“. მომწინაო ფერის ქალაღის ნაგლეჯზე. დრო არ არის მინიშნებული.

„უკვე მესამეჯერ მოვდივარ, დაიბარეთ მაინც როდის ხართ. იმკასატორი დაიბანი“. წერილი გახუთის ნაგლეჯზე, ფლონასტერით.

„ჯემლი! გიგლასთან გადადი და ყველაფერს გეტყვი. ჩვენ გვეჭქარება, კაკონით, ნანა, გიული“. წერილი მუყაოს ნაგლეჯზე, ფანქარით.



გადედედი გიგლასთან. ჩემთან არავინ ყოფილა, ალბათ სხვა გვიღია იქნებო, მითხრა გიგლამ.

“გამოცხადდი სახელმწიფოებრივებაში, საჩინვარია შემოსული ნუნუსთან, უბნის ინსპექტორი ამილახვარი”.

ჩემთვის მოუცლიათ და ეგაა საქართველოს თავადები.

“ჯემლი რა დროსაც არ ჩამოხვიდე, დამირეკე, საქმე ძალიან სერიოზულადაა, გენო”. გაზეთის ნაგლეჯზე.

დაეძაბე გონება, გენო არავინ მყავს, არც ნათესავი, არც ნაცნობი, არა და “საქმე ძალიან სერიოზულადაა”, არ ვიცი რა გენა, ენერგიულად.

“პატივცემული დავითაია! წყლისა და სინათლის დროულად გადაუხველობის შემთხვევაში, ივლისისა და აგვისტოს პერიოდში, შენფეხტილი გეძნებათ აგრეთვე რადიოც. ორჯონიძის რ-ის სახელმწიფოებრივების საბინაო ბიუროს მთავარი ბულალტერის მთავარი ინსპექტორი ჯ. ბირჭიაა”. ბლკონტის ფურცელზე.

მეორე დღითვე მივედი სახელმწიფოებრივებაში, მოვიტოვე მთავარი ბულალტერის მთავარი ინსპექტორი ჯ. ბირჭია. — მთავარი ბულალტერი მე ვარო, მიხატა სიმპატიურმა ქალბატონმა, ან გვარის თანამშრომელი არ გვყავსო და არც მთავარი ბულალტერის მთავარი ინსპექტორის შტატი არსებობსო. ქალბატონი ნუნუ რომელ ოთახშია, შევეციოთ, ნუნუ აქ არავინ გვყავსო. ამილახვარი-მეთქი, ამილახვარს სახელმწიფოებრივში რა უნდაო, ბატონოო, ცოცა უყენია.

“ვატანგე ირაკლისთან ვიყავი. ასე თქვა საპროექტოში მოიტანეთ და მერე დაველაპარაკებო. სანამ ესკიზები არ მაჩვენებს, ნუ მოიტანო, ლანა”. ნერილი პროდუქტების შესახებვე ტელეფონის ნაგლეჯზე. რა საპროექტო, რა ესკიზები? ვინ ლანა? რა აბადა-უბადა ნერილია!

“ვიყავით თქვენთან. სისომ რაღაც სუვენიერები გამოგვტანა. ტელეფონით ვერ დაგაკავშირდით, სუვენიერები მეზობელთან დავტოვეო. დარეკეთ სისოსთან”. ბელმონტ-ერლია გახუთ “Известия”-ს ცინცხალი ნომრის ნაგლეჯზე, 13.07.75 წ. 162 (18005). არ ნერია რომელ მეზობელთან.

გადედი კარის მეზობელთან (ლეონა-ანზორი), არავის არაფერი დაუტოვებიაო. უკვე შესამეჯერ შედევიარ მათთან, რაღაცებს ვაზუსტებ — ამდენი ხალხი თუ მოდიოდა, ერთიც ვერ შენიშნეთ-მეთქი, ვსაყვედურობ. არავინ შეგემჩნევიაო, ისე უფნის ხმა კი გვესმოდაო — მითხრა ანზორმა და სასწრაფოდ გავიდა სამხარეულში.

ჩავედი ქვედა მეზობლებთან თოფაძეთთან, ხატიაშვილებთან, კიდევ ქვემოთ მეუბნებიან, არავის არაფერი დაუტოვებიაო.

“წამოიყვანე ნოდარი და ერთად მოდიე ვახშამზე. ძალიან გთხოვ, აუცილებლად, გრიზა”. ნერილი რომელიღაც ვახუთის ნაგლეჯზეა. მსხვილი შრიფტით ჩანს “..... მარჯვენასა”, ალბათ იქნება “თქვენს მარჯვენასა”!

ჩავედი ნოდართან, ვინ გრიზა გვეპატივებდა ვახშამზე-მეთქი. არ ვიციო, მე არავის დავუპატივებდითარო, ისე, მარტო ერთ გრიზას ვიცნობ, ჩვენს მეგობრებს — გრიზა ბაბაჯანოვს, სერიოზული სახით განმმარტა ნოდარმა. მოუფუფევი ჩემი გასაჭირი, ვიზიტებზე გიგლასთან, მეზობლებთან, სახელმწიფოებრივებაში, ვერავის ვერ მივაკვლიე-მეთქი. გულწრფელად თანამიგრძნობო.

“სასწრაფოდ გადაიხადეთ ტელეფონის ფული, თორემ გაგთიშავ”. ბელმონტა გაურკვეველია.

კიდევ ერთი აბჯაუბდა “ნერილი”.

“ვიყავით მე და ბესო, მგონი ფანოც, გიგლაც. რომ შემპირდი, რატომ მომაცხუე, ირაკლი ძალიან გაბრაზდა”. ბელმონტის გარეშე.

საგონებელში ჩავერდი, მებზარე-ბიან ნაცვობ-მეგობრები, რეკავენ სვეტებთან, ლანებთან, გრიზებთან, ბესობთან, ვიგლასთან...

მესამე დღეს, ნოდარი და ოლია შემოვიდნენ სახელისნომში. ნათელაც ახალი მოსულია. “ნერილები” მაგედანზე ყრია, — ვერავის ვერ მივაგინი, გაგვიტან ასეთი რამ, ან რა მეორედ მოსვლა იყო, ორი დღით წავედი მხოლოდ-მეთქი. ანოდარს და ანზორს ისტერიკული სიცილი აუკვარდათ, იგუდებიან, გაოგნებული ვუყურებ, სიძულე ჩამოყრდა. ყველა ჩემი დანერლია, გაგამაყრეთ, რას ვიფიქრებდით აშხელა არიფი თუ იყავი და ვერ მიხვდებოდით, შეგვეცოდე და იმიტომ გაგიმხილეთო, თავი იმართლეს “დამნაშავეებმა”. საერთო ხარხარს მეც შევეურთდი, მაგრამ ჩემი “ხარხარი” სიმძრისა უფრო იყო, როგორ ვიფიქრებდი, ასეთი სერიოზული ადამიანები ამდენ დროს ასეთი მაიმუნობისთვის დაკარგავდნენ. ნათელამ სუფრის გაშლა დაიწყო.

— მოგაყრინა ეს დავითაძეები ლამაზ ჭურჭლებს და მძიერი წახვალ სახლში. გადი ერთი ლეონასთან იქნებ რამე შეგვენიოს, თუ არა და ნანულასთან ჩადი, რაღაცეები აქვს მაყვარებო, — ეუბნენი ნოდარი ანზორს.

— დღეს დახმარება არ გჭკირდება, რაღაც რაღაცეები ნამოვილე სახლიდან, — ამბობს დისასახლისი. შემოგვესწრო გიგლა, რომ გაიგო რა დანაშაულია ჩადენილი, შეცურად დავმო მათი უშმაგესო საქციელი. ხმაშალა (ჩემს გასაგონად) წარმოთქვა: ერთხელ უნა-მუსიკები” და ერთხელ “არამაგდები”. აბა, იმით ხომ არ დავიცვება, სუფრა გამძლიდი იყო.

სუფრაზე ყველაფერი გაიმიფრა, რომელი ნერილის ატორი ვინ იყო, სხვა რა ვარანტი ქონდა, რამდენი დრო მოანდომეს და სხვა.



ნოდარ დუმბაძე



წინა ჩივიკვილი

# როგორ დავბრუნდეთ სამშობლოში?..

ყმანველითათვის რომ წერო, კარგი მწერალი უნდა იყო, თან ძალიან კარგი, ნამდვილი ოსტატი. სხვანაირად არც არაფერი გამოვიცა. სხვანაირად ყმანველების გულსა და სულს ვერ ჩანდებდი. პატარები არ გენდობიან და არც შეიყვარებენ შენს წიგნებს. ვინ და ვინ და ეს ძალიან კარგად იცოდა იაკობ გუგუშვილი და ის, რომ დიდი იაკობი პატარების გულთამყრობელი იყო, მოდიოთ ამაზე ნუ ვიკამათებთ.

მამ იმაზეც ნუ ვიკამათებთ, რომ ჩვენი დროის ერთ-ერთ გაბორძელებულ მწერალი თამაზ ბიბილური დიდ იაკობს ეკლემი მიჰყვება.

დაიბ, ნუ გაგაოცებთ და ნურც გაგაღიზიანებთ ეს შეფასება. გახსოვთ იაკობ გუგუშვილის „ბუნების კარი“? ვერ წარმოგიდგენია ამ წიგნის მაღალი დღემდე არ მოყვებოდეც ყველას, ვისაც ეს წიგნი ნაუკითხავს. აი, სწორედაც ამ წიგნის ამკარა მემკვიდრეა თამაზ ბიბილურის „ნელნადას დრონი“. თითქოს ეს წიგნიც იაკობ გუგუშვილის სულის ანასტაფია და განსაკუთრებით საყურადღებო და თვალსაჩინოა სადღესიოდ... რატომ სადღესიოდ?

მიტომ, რომ...

დავგომრდით ბუნებას, მისი ენა დაავივიწყდა და ისიც თითქოს გაგვიცხოვდა.

მიტომ, რომ...

დავპირვიღდა ქართული სოფლები.

მიტომ, რომ...

ჩვენითვის და, რაც უფრო სავალალოა, ჩვენი პატარებისთვის ისე ჩაივლის წელიწადის ყოველი დრო, რომ ვერც გაზაფხულის ხიბლს გრძნობენ და ვერც შემოდგომის ბარაქით ტკბებიან.

რადვ მიტომ, რომ...

როგორც ჩვენი დროის ერთი ძალიან დიდი, მადლმოსილი ბერი — მამა გიორგი (ბასილაძე) იტყვის: „ბევრი რამ დაქარაჯეთ ქართველებმა: სიყვარული, სითბო, მონყალეზა, შენობა, პატიება, სინანული, მარხვა, სიბარძლი, სადმროი ხედეა. და თუ ეს ყველაფერი არ დავიბრუნეთ, როგორღა ვიქნებით ქართველები? არადა, ქართველებმა აუცილებელია ქართველი კაცისთვის, რადგან ქართველობა ღმერთიდან გავიერია!“

სწორედ ყველა ამ სატკივარზე, ბუნების საიდუმლოებებსა და მასთან მიახლების გზას გვიჩვენებს მწერალი. სიყვარულზე, სითბოსა და მონყალეზაზე, პატიებასა, სიბარძლსა და სადმროი ხედეაზე გვიყვება და სათქმელს ისე-მასტარულ ქარგამი აქცევს, მუშქმებელისა არ მიშყვე ყოველ სტრიქონს, არ დაუფერო, არ უთანავგრძნო.

თან ამ ყველაფერთან ერთად, ერთი რამ გახლავთ აუცილებლად გასათვალისწინებელი. ასეთი წიგნი იმ ეპოქაშია შექმნილი, როცა უფლის მოთხას და აღდგომაზე საუბარი აკრძალული იყო. ეს თემა მწერლობაში უბრალოდ ტაბუირებული გახლდათ.

მამ როგორღა საუბრობს მწერალი ამ თემებზე? — იკითხავს მკითხველი და მიუფერებ — შეფარვით. ისე ოსტატურად, რომ გაგიკვირდებათ. მერე კი აღტაცებასაც ვერ დაფარავთ, როცა დარწმუნდებით თუ როგორ იგრძნობა ყველგან, სტრიქონთა მიღმა, უფლის არსებობა, უზენაესის ძალა...

ნათქვამის დასტურად რამდენიმე ეპიზოდს შევასვენებთ და გეტყვით: დარწმუნებული ვარ, საგანგებოდ ამხვილებს ყურადღებას მისი პაპისა და დიდედას იმ საუბარზე, როცა ბებო პაპას შეჯიბრებია და უმტკიცებს, მე შენზე ადრე ვისნავლე წერა-კითხვა, რადგან მასნავლებლად მდედლის ცოლი მუავდა და, როცა შენ ვერ კიდე კითხვა არ იცოდი, მე „საღმროთი წერილი“ ზემირად მქონდა დასნავლულიო.

ამას ისე, თითქოს სხვათა შორის ამბობს, მაგრამ იცის, ნათქვამი მიზანს რომ მიადევს. ასე აღძრავს ყმანველებში უფლისმიერი პარმონის ამოსნისაკენ ლტოლვას და შესახსენებს, რომ ამქვეყნად იყო უფალი, რომელიც ენამა ჩვენთვის და შემდეგ აღსდგა. ატორმა კარგად იცის ის ცნობისნადილი, რომელიც ყმანველის გონებაში ჩნდება, შემდეგ მის გულშიც ლევიდება, როგორც რწმენა და ლტოლვა უფლისკენ. მინდა ყურადღებით ნაიკითხოს შემდეგი ფრაზები:

— ადამიანი ამქვეყნად დიდებული პარმონის საძებნელად მოდის...

აგრე მთავრე თავისი გზით ისწარფვის. ვარსკვლავებზეც თავისი გზით მიდინ და ერთმანეთს არ ეჯახებინა.

გაზაფხულის ამ დიდებულ ღამეს აუცილებლად მოყვება გათეხება.

ეს არის სამყაროს პარმონია, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ და რომელიც ჩვენშია."

და იქვე ვკითხვლობთ:

„მთავრებოდა დიდმარხვა, მიილეოდა უკანასკნელი დღეებიც და მთელი სოფელი აღდგომისათვის ემზადებოდა. აღდგომა „ქრისტეს აღდგომის“ დღესასწაულია.

ხოი გახსოვთ ვჯარზე გაკრული, რწმენისათვის წამებული ქრისტე?

შემდეგ კი — ქრისტეს აღდგომა?  
სწორედ ამ დღეს ზემინა აღდგომის დღესასწაულიც.“

თითქმის ყველა ქრისტიანულ დღესასწაულს ასვენებს წიგნი და ამის ფონზე, არც ხალხური გასწაოლებებისა და ნეს-ჩვეულებებისათა აღწერა ავიწყდება.

ის სოფელი, სადაც ჩვენი წელიწადის „ოობთავი“ გათამამდება, კახეთშია, საქართველოს ერთ ღამაზე და ღონიერ კუთხეშიც. კახეთს თავზე კავასიონის მთები დასცქერია. ქვემოთ ცისფრად გადაშლილი ალაზნის ველია, ზემოვან კი გადმოშობილა მთები. დევიით მთებიო, — იტყვიან ხოლმე.“

წელწელს, თითქოსდა შეპარვით, როგორც ძილის წინ ზღაპრის, ისე ვიამბობს კახეთის ერთი სოფლის ცხოვრების მაგალითზე ჩვენს გარდასულ ყოფა-ცხოვრებას და ასე იხატება მთელი საქართველო.

ამ კონტექსტში ზღაპრის ხსენება ნუ შეგამინებთ. განა ხალხურ ზღაპარში ყველაზე დიდი სიბრძნე და სიმართლე არ არის კიდრებული?! და მწერალიც სწორედ ზღაპრის სულ ინტროდუქციის მიმართავს, რათა მისმა ნათქვამმა, ყმანველების ყური დაატკბოს და ის რეალობა, რაზეც უსაუბრება, ზღაპრულ სამყაროსაიერი იდეალური და საინტერესოც გახადოს, რადგან სხვანაირად, იცის, მიზანს ვერ მი-



აღწევს — ყმანდობისკენ სავალ გზას ვერ გამოძებნის. ამ დროს მთბორბელი მათი თანატოლია და, ამდენად, პატარაობა საერთო ენის გამოჩენაზე არ უჭირს. კარგად იცის, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში დაუდგებენ ყურს ბაღლები და, თითქოს შესაფერისი დრო იხელთაო, ისეთ მაღალ სულიერებაზე წამოიწყებს საუბარს, წარსულისა და მომავლის სურათს ისე დაუზატავს, რომ შეუძლებელია, პატარა მკითხველს სადმე ფიქრის მდინარეზე გაუწყდეს, ან ყურადღება მოაღწუნოს. ასეთ მეთოდს ირჩევს მწერალი დიდაქტიკოსთის.



„თუ ჩვენ არ ვიგაბებთ ჩვენს სოფელზე, თვეც კი ოდენიმე თვეცნულზე არ მოუთხრებთ მომავალ თაობას, ხსოვნაში სიცარცოვლედ დაისადგურებს. ხსოვნის სიცარიელისა კი გვიმნოდეთ! ყველაფერი, რაც მომავალში უნდა შეიქმნას, გუმბრდელი და დღევანდელი იგულისხმება, გუმბრდელი და დღევანდელი საბირკელის გარეშე მომავალი არ აშენდება.“

მართლაც საგულისხმო შეგონებაა, თან არც მეტო, არც ნაკლები, საგანგებოდ საცენოდ, სადღესიოდ დაწერილი. სადღესიოდ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ რატომღაც დღეს მწერლობაში (წარმოადგინეთ, საყმანული შემოქმედებო!) ასეთი ტენდენციაა — აბა, ერთი, კარგად ნაიკითხეთ ჩემი მხატვრული ტექსტები, აკერ მოესულვარ მწერალი და ისეთი პრობლემები წამოიჭრის, მათქმულსაც იმგვარად ვამბობ, ამ ჩვენს წამორჩენილ ქართულ მწერლობას ჯერ სხვაშიადაც არ მოლაწვენებიაო.

არადა, თამაზ ბიბოლოვი საპირისპიროს ამტკიცებს. თბრბობას ისე ოსტატურად, ბუნებრივად შემოჰყავს დიდაქტიკური მწერლები, რომ ხედავთ, ეს საგანგებოდ ჩაუფიქრებია. ჯერ ერთი-ორი ფრაზით ახსენებს სადმე დავით გურამიშვილს, ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ვალაკტორის და სხვებსაც, არც საქართველოზე შეყვარებულ არტურ ლაისტს იფიქვებს. ეგ კი არა, ერთგან, როცა ფერისცვალებას ახსენებს და ავტისტის ღამებზე საუბრობს, ისე ბუნებრივად შემოჰყავს ულიამ ფოლკნერი თბრობაში, რომ არც გიკვირს და არც უკმაოდ უთვლი, რადგან მხატვრულ ქსოვილში ბუნებრივად თავსდება. დიახ, ასეა. თითქმის ყველა იმ მწერლის ახსენებს, ვინც მართლაც ყურადღების ღირსია და მერე მათი თბულტემბდან მოხრდილ ეპიზოდს ამ დღეებს ისე რაუთავს თბრობაში, რომ მკითხველი იმ მწერლის შემოქმედებისადმი ცხოველი ინტერესი აღძრას. ჯერაც თუ არ ნაუკითხავს ის მოთბრობა, მოეგა, ლექსი, აუცილებლად მოტემბნოს მისი ნივთები. აბა, ამაზე დიდი საქმე რაღა გნებავთ — ყმანეილის დაბრუნება წამდელი მწერლობასთან, რაც თვისთავად მბობლოური ფესვების ძებნასაც გულისხმობს.

მბობლოური ფესვები ვასენენ და მინდა აქვე ის ეპიზოდებიც გავისენენ, სადაც უკვე დაფიქრებულ, მაგარამ თავის დროზე ცფიქრობ, დღესაც არანაკლებ ქართული სოფლური ცხოვრებისთვის ასე ორგანულ და აუცილებელ საქმიანობებსა და მათ ოსტატებზე ვეყსაუბრება.

თუნდაც მტყდელსა და სამტყდლოზე მოთბრობილი ამბავი რად ღირს?

ან კიდევ როგორი შობამტყდელია და დამამასოვრებელი მენახირება, მენახარება, გუთნისდვდასა და თუნდაც მულორეზე მოთბრობილი ამბები. ესენი, როგორც ავტორი გვეუბნება, სოფელში ყველაზე ღარიბნი, უპოვარნი ყოილიან, მაგრამ „მბინც სოფლისთვის დიდად გამოსადგენი.“ — ესეც ხომ სოფლური იდობის, იმ პარამბონის ნაწილია, ქალაქური ცხოვრებისთვის ასეთი უტყვი და მიუღებელი რომ გამმდარა?

რა ხდება, რატომ ამამხვილებს ყურადღებას მწერალი სოფლურ ცხოვრებაზე, რატომ გავისტავს იქაურ იდობას, როგორც მართლაც განუმოვრებელს და რატომ სურს აღძრას ნოსტალგია?

იქნებ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ გამოვავიზნოს კანური მოდემის შეილები და მოგვებრუნის სიკეთისკენ? იტყობა ამასაც გულისხმობდა ვანტანტ ქელიძე (ვისი დიდი თანადგომითაც შეიქმნა ეს შესანიშნავი ნივთი), როცა წერდა: „ეს ნივთი მარტო შექმენმებით არ არის, თუმცა იგი ბევრ რამზე გვაცნობს. ეს არის სიკეთისა და სიყვარულის ნივთი.“

დიახ, სიყვარულის ნივთია „წელიწადის დრონი“, რადგან იმ სამყაროში, სადაც მწერლის პერსონაჟები ცხოვრობენ, სადაც ასეთი პარამბონა სუფევს დამამინასა და ბუნებას შორის, შეუძლებელია მოყვასის სიყვარულმა არ დაჯახნოს ბორბტება.

შეუძლებელია ყმანეილს საშუამდომოდ არ დაამამასოვრდეს სანალი, ღარიბი პეტრესა და მისი ცოლის ნინეცასადმი დიდიდაცააგ განდელილი დამხმრების ხელი.

ეგ კი არა, როგორც ავტორი იხსენებს, თუნემე მამა ახალი ნივთი მბობრბანებისა, ტყვისა რადებდა თთვის ლულინი და აუცილებლად გადავიდად პეტრესთან, რათა მის ავიზინადაც დაექუხა ოიფს ავისა და ბორბოტის დასაფრთხობადა...

სხვა რომ არა, ბებოსა და პაპას ურთიერთობის მავალითზე შეიძლება დამახობნ (ისნაგონ) ჩენნმა პატარებმა წამდელი, წლებთან ერთად წასათუთევი სიყვარულის მადელი და ეშხი. თუნდამც ის რად ღირს, ადრეულ გაზაფხულზე, ემბაკურად გალიმბებული პაპა ეთიომ ისე, სხვათა შორის, კალათიდან იის კონას რომ იღებს და ბებოს აწენის. ბებო კი ხინხარულე თითქოს მალავს კიდევ და არც მალავს...

ან კიდევ სხვა სივნა გავისენენთ პაპასა და დიდდას შორის ჯერ კიდევ შუა ზამთარში პაპა რატომღაც (თურემე მოახლოებული სიციდლის ჯობრზე) საკუთარი ვენზას ნახავს მოინდომებს და... მათი უსიტყვო, ერთმანეთზე ზრუნული საესე „ჭიდალი“ იმგვარი სოფაქობისა და შეუმცდარი მწერლური ალილით გამომტკეცეს მწერალი, რომ ბევრი კლასიკოსიც უყუყმანოდ მოაწერდა ხელს.

რაკი სიტყვა მობტანა, ბარემ ისიც ითქვას, რომ ამ ნივთი ბევრი ისეთი ტექსტია ჩართული, რომელიც ეალკე, დამოუკიდებელი ნოველადაც აღიქმება. ამის დამამდასტირებლად აბლა სახელდახელიოდ გავისენებთ ალავრდიტისკენ დამწკრეებელი ურემების მსვლელობას, მათში მეცხვარეების ცაცილების, შელის ნუკრისა და ზამთარში ირმის ბრად ჩამოსვლის ამბავს, სახალწლო ფრიაშულს გარდებულ დიდდვასა და პაპას „საბარტეტებს, ან პაპის სიციდლის. და აქ ისე, თითქოს შემთბევეტი, წამოსროლილ





ჭირისუფლის სიტყვებს პირდაპირ გულისხმობს რომ გაიყვანოს ეს თითქოს ექვსი იმ მდუმარე „ჭიდილისა“, ამ რამდენიმე ხნის წინათ პაპისა და დიდებას შორის რომ გაიმართა და პაპამ მინც თვისი გაიტანა და მარტოდმარტო წაიღო ევენისა დასახედა.

მოტარალი ქალის ეს ფრაზები რომ „დაიჭირო“, მწერალს დიდი სულიერი სიფხველე გმართებს. პოდა, ამგვარი სიფხველეთა ეს ეპიზოდები დაწერა:

„და სწორედ მაშინ, როცა ოთხი ვაჟი კვლავ ანევის კუბოს და ნელ-ნელა სახლის კიბეზე ჩამოატარებს, ზეციდან ცვივა თოვლის თეთრი ფანტლები. პაპის უკანასკნელ გზაზე ყვაკვლებითი ფინიგნიან თეთრი ფთილები. ფინიგნიან მის გაღურჯებულ ზელებს, ვასანთლულ სახებს, თეთრ უღუფამებს და ამ სიწუმეში, როცა მხოლოდ თოვლის ჩუმი შრიალი ისმის, დაირბევა ბერის ცივი და მშვიდი ხმა: „აჰ, უკანასკნელად მისდინარ თოვლში, კაცო!“

თი, აქ როგორ იტყვიან, კომენტარი უაღველია.

აღბათ ასევე ცალკე უნდა გავამახვილოთ ყმანვილია ყურადღება იმ ეპიზოდებზე, როცა მწერალი საყმანვილო ვასაროებებისა და თამაშობების თანადროულად, ცალკე ვაგუნიას და ცალკე გოგონებისთვის განკუთვნილ საქმიანობაზე მოგვიხირობს და ამით პატარაობიდანვე აჩვენებს ყმანვილებს იმ აზრს, რომ ცხოვრება უშრომლად აზრს კარგავს. შრომის გარეშე დასვენება და გართობისაც არ გახარია თავისი შრო და ღაზითი. ამიტომაც მიჰყვებიან პატარა ბიჭუნები პაპის ტყეში ფიხის მოსატანად. ამიტომაც მარგლადაც და უფლიან ბოსტნებს უფროსებთან ერთად. გოგონები კი ხელსაქმის სწავლობენ, მატარის ჩეჩვასა და ქსოვას.

ტყე ვახსენებ და აღბათ ისიც საკანგებოდ უნდა ითქვას, თუ როგორ ესაუბრება მწერალი პატარებს ტყეცა და მის დანიშნულებაც. ტყე დიდი განძია. ეს თითქოს ყველამ ვიცით, მაგრამ ის სიყვარული და სიფხველე, რომლითაც თამაშ ბობილური საუბრობს, ვიტყვით, ნამდვილად ქრისტომათიულია. „ტყე დედამინის მთელ სიცოცხლეს თითქოს ერთბაშად განასახიერებს“ — დასძენს და აქვე ჩამოთვლის ყველა იმ სიკეთეს, რაც ტყეს მოატყვს ადამიანებისთვის... და აქ კვლავ უნებურად გაგონდება ჩვენი დროის სიღნაღის მადლით განღმობილი ბერის მამა ვაბრიელის (ურდუბაძის) დარიგება: მეორედ მოსვლის ვაშს ტყეებს შეუბიწვიო!

მაშ ტყე ვადგავარჩენს და შევიხიზნავს?!

თორემ როგორი დიდი განძის მფლობელი ვყოფილვართ და არა გვეცოდნია. ტყეს უნდა გავუფრთხილებო, რადგან ეს ისევე და ისევე საჩვენოდ, საკეთილდღეოდ მოგვიბრუნდება.

„ტყე მარტო ჩვენი ცხოვრებისა კი არა, თვით სიცოცხლის ნაწილია და ბედნიერია ის, ვინც შეუმცდარად ისმენს ტყის ხმას. ვისთვისაც მუტყველია მისი დუმილი, ვისაც შეუძლია მასთან საუბროს გამართვა“ — ამბობს მწერალი და ცდილობს თავის მკითხველსაც ასწავლოს ტყის დუმილის „კითხვა“. ასწავლოს ის, რაც თვითონ კარგად იცის — გაუმზილოს ბუნებასთან პარაზონიული ცხოვრების ანბანი, ქართული გენის გადარჩენის საიდუმლო.

რაკი ბუნებასთან პარაზონიული ცხოვრება ვახსენებ, არ შეიძლება კიდევ ერთი საინტერესო პერსონაჟი, სალამურების გამორჩეული ოსტატები და მასზე შესანიშნავად დამკერველი მხანკარ არ გავიხსენო. ეს ის ადამიანია, რომელსაც ვიუტად სწამს, როცა სალამურზე გუკრავ, მზე სწო-

რედ მაშინ გამოდის ღრუბლებიდან, ფრთოსნებიც ჩუმდებიან და შეყვანილი ინაბობიანო... და აქ კიდევ ერთი, კლასიკური პერსონაჟი ნამოტიტყვიდება „ვეფხისტყაოსნიდან“... ავიანდვილი.

ბუნებასთან თანახმიური ცხოვრების საიდუმლოს ფლოს მხარგრ. ეს ის საიდუმლოა, რომელიც ასე მოუღწეველია ჩვენივე, დღევანდელი ქართველობისთვის და რომელიც თურმე ასეთი მარტოცა და გენიალური თავისი სისადავით — აწყვე ბუნების რიტმს და შეერწყა იმ პარაზონისა, რომელსაც თვითონ უფალი გვთავაზობს. ამას ჩვენ, ბუნებასთან გაუცხოებულნი, ვერ ვასწავლით ყმანვილებს, თუ „ნელინადის დროის“ აგტორს არ დავუგვებთ ყურს.

კიდევ ერთხელ ვნახოთ, რას წერს თბრობის დასასრულს: „ნუ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ სოფელი ბავშვი ყველაფრის მონაწილეა, რაც კი გარშემო ხდება. ასე იყო მაშინ და, ღმერთად ქნას, რომ ასე იყოს დღესაც“...

ახლა ამ ვრცელ ციტატას ბოლომდე ვერ დავიგომწმებ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი — თუ ამ მწერალს ვენდობით, მაშინ არ შეგვეშინდება არც გათითოკაცებისა და არც გლობალიზაციის მორევის.

თურმე წინაპართა ნაკვალევზე სიარული საკუთარ ფესვებთანაც დააბრუნებს და მსოფლიო მოქალაქეება-

დაც აქცევს ჩვენს მომავალ თაობებს. ეს მართლაც ასეა...

და აქვე, ვფიქრობ, საკანგებოდ, ეს იდილია რომ არ დაირღვეს, სწორედ ამიტომ მწერალი არსად ახსენებს, არც რადიოს, არც ტელევიზორს (კომპიუტერი მაშინ ისედაც არ იქნებოდა) და არც... ტელეფონს. მხოლოდ ერთადერთხელ დავლანადეთ საფოსტო ჩასულ კინოს და ისიც არსისა სხე შემოგვანაწიებს უბრალო, სახელდახლოდ გადაჭიმული ეკრანებზე. ნამირად შემოგვანაწიებს და ნამირადვე გაქრება, რადგან ამ შემთხვევაში მწერლის ამოცანა სულ სხვა რამ გახლავთ. თუნდაც შემოგვამოს მონურული ქორნახული ნატურმორტის ხატვა, ზამთრის პეიზაჟის დახატვა და ამ პეიზაჟის ფონზე სოფლის მცხოვრებთა ავათ-ნესეების, ნამდვილ გლეხთა ყოფა-ცხოვრების აღწერა.

და იქ, სადაც მწერალი ნისქვილას და მენისქვილევ გვიამბობს, თითქოს თბრობის რიტმიც კი იცვლება და ნისქვილის ხმას პაპავს. მეტყვა გეტყვით, ახალდაფუცილი სიმინდის სურნელს გრძნობ და ამიტომაც ბოლომდე ენდობი მიხრობულს.

აქ, ამ მოთხრობაში ყველაფერი რეალურია და მაინც... იდეალური, რადგან მწერალს მოხელთებული აქვს სახლური სობრმნის საიდუმლოება.

შეუძლებელია იგივე განცდა ყმანვილსაც არ გაუჩნდეს, რადგან ისინი ცხოვრებს სხვა, განსაკუთრებული გრძნობით აღიქვამენ სიმატოლეს და ამავე გრძნობითვე ყმანვიებიან სიკრულსა და სიყვარულს.

...მაგრამ რა უნდა ამ მოთხრობაში ყვალბა და ნაძალადევიდ გამოგონილს?!

\*\*\*

მეგონა ასე დავასრულებდი, თამაშ ბობილურს „ნელინადის დრონიზე“ წერას და უყვებ ამავე თბრობაში ორგანულად ჩართული მისეული „პურის მოთხრობა“ მომავლინდა. ქართველმა მკითხველმა კარგად იცის, რომ „პურის მოთხრობა“ — ამავე სახელწოდების მხატვრულ-დასუკუ-



მენტური ტექსტი — ნუგზარ მატაიძის კალამს ეუთოების, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველი ბიძგი ამ ტექსტის შესაქმნელად სწორედ თამაზ ბიბილორის მოთხოვნებიდან მომდინარეობს და ეს არ უნდა დაავიწყდეთ იმ მკვლევართ, რომლებიც მომავალში ამ ორი მწერლის შემოქმედებას უფრო ახლოს გააცნობენ მკითხველთ.

ეს ისე, მხოლოდ ცნობისთვის.  
და ვიდრე წერილის დავაბსტრუქცივდეთ, ერთ პანანინა ჩიტზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ეს ჩიტი საგანგებოდ ბოლოსთვის მოვიტოვე, იგი კომპოზიციურად კრავს და ამოლიანებს მთელ ტექსტს.  
ეს პანინა არსება ზაფხულიდან შემოდგომამდე, შემოდგომიდან ზამთრამდე რაღაც სიმბოლურად ასდევნება თბრობის დინებას და, როგორც ნამდვილ ზღაპარში, თითქოს ავტორის სულის ნაწილი განმდარა. იმ სულისა რომელიც ახლა ალბათ უფაღათან სუფევს...

ჩვენ, ჩვენ კი ამ დარჩენილებს გვაფიხილებს და გვაიმედებს, რომ ისევ მოვა გაზაფხულს.

ჩიტი გაზაფხულის ელოდება ეს პატარა ჩიტი გაზაფხულის მოვლას გრძნობს, მსუბუქ რტოზე ირნევა, დროადრო კვლავ დასტვენს და ზემოთ, ცისკენ იფურცება.

